[საქარ]თველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია | № 194 | ოთხშაბათი, მარტის 14 (27) 1918 წ. № 194

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

**დღეს ტრაპიზონს მიემგზავრებიან ამიერ-კავკასიის დელეგაციის რწმუნებულები: აკაკი ჩხენკელი განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვეს საზავო მოლაპარაკების საქმეში.—ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება გადადვეს.—სადახლოში თათრები რაზმელებს დანებდნენ.—ახალციხეში შეტაკებებია მაჰმადიანებთან.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (გ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:
ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.
ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე ელენე დავითის ასული გაბაშვილისა ძმა ნიკოლოზ ივანეს ძე გაბაშვილი მეუღლით და შვილებით, დები მარიამ ივანეს ასული აბდუშელისა, თამარ ივანეს ასული ნაცვლიშვილისა. ცოლის დები: სოფიო დავითის ასული ჯაფარიძისა და ევა დავითის ასული გედევანიშვილისა შვილებითურთ ტრაღიკულად გარდაცვალებას

**ალექსანდრე ივანეს ძე გაბაშვილისას**

პანაშვიდი ყოველ დღე დილით 12 საათზე, საღამოთი 6 საათზე. თავის ბინაზე ვორდის უბნის ქუჩა № 7. 306

ამიერკავკასიის რკინის გზის სოც.-ფედერალისტების კოლექტივი მწუხარებით აუწყებს კოლექტივის წევრის

**გედევან (გენო) ალექსანდრეს ძის ელიოზაშვილის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას. ცხედარს გამოასვენებენ 14 მარტს დილის 10 საათზე რკინის გზის საავათმყოფოდან და დაკრძალვენ წმიდა ნინოს ეკლესიის გალავანში. 1108

**შაქარი**

[სახ]ლის კომიტეტებს

[...] განყოფილება სთხოვს ყველა სახლის კომიტეტს

[...] აილონ სასურსათო ბარათები (შაქრის, ნავთის და სხ[ვ.] [...] თვის უკანასკნელ რიცხვებში დიდ-ძალი ხალხი მოაწყდება ბარათების ასაღებად.

1107 ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.



**დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა**

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს 14 მარტს გამართება

**დიდი წარმოდგენა**

16 ნომრიდან შემდგარი, მონაწილეობენ: კამო, ვლადიმიროვი, ბოლნოვსკაია, ზოლოტარიოვი, იონაში როლანდი, სტრაკაი, რიჩარდო და სხვ. დღეს გაიმართება დიდი დივერტისმენტი დასაწყისი 8 ს. დასასრული 11 ს.

ანონსი: ახლო მომავალში გაიხსნება საგაზაფხულო სეზონი, ჩამოვიდა მრავალი ახალი არტისტი. 307

**ღვინო**

ღვინის ბარათები იძლევა ორი თვით, ღვინის ბარათების ტალონები ნოემბრის, დეკემბრის და იანვრისა გამოსადეგია მარტს, აპრილს და მაისში. ღვინის ბარათები მიეცემათ მესამე სერიის (აპრილის, მაისის და ივნისის) სასურსათო ბარათების წარდგენის მერე.

1101 საბარათო სისტემის განყოფილება ქალაქის გამგეობასთან.

**შაქარი და ნავთი**

მარტის 12-დან ყველა უბნის საბარათო ბიუროში მისცემენ **სასურსათო (შაქრის, ნავთის და სხვ) ბარათებს,**
მე-3 სერიისა, აპრილის, მაისის და ივნისისა.

სასურსათო ბარათი პირველ რიგში სახლის კომიტეტებს მიეცემა.

სასურსათო ბარათების მისაღებად სახლის კომიტეტებმა ძველი სასურსათო ბარათები უნდა წარმოადგინონ და აგრეთვე სახლის წიგნი და სახლის სარეგისტრაციო უწყება. უკანონო ცნობების მიწოდებისათვის სახლის კომიტეტები პასუხისგებაში იქნება მიცემული.

ქალაქის გამგეობის საბარათო განყოფილება.

1918 წლის 9 მარტი. 1104

**ტფილისი, 14 მარტი 1918 წ.**

**სახელმწიფოებრივი ილიუზია თუ ფაქტი?**

არაჩვეულებრივ, განსაკუთრებით მძიმე საზოგადოებრივ პირობებში ხდება რევოლიუციით მოპოებულ უფლებათა ფიქცია. რევოლიუცია დამთავრდა, საზოგადოების უდიდესი ნაწილი მოსურნეა რევოლიუციით მოპოებულ უფლებებს დაემყაროს, განახორციელოს რევოლიუციონერთა ალიქმანი, რომ ... რევოლიუციონური მსვლელობა ლოღიკური დასკვნა იყოს ახალ საზოგადოებრივ და ეკონომიურ ძალთა განწყობილებისა. და სწორედ ამ დროს რევოლიუციას კბილის მალულად გაუჩნდა ომი და ლამობს მიწასთან გაასწოროს რევოლიუცია. რევოლიუციის კრიზისი იქმნება იმიტომ, რომ ბურჟუაზიული ომი გამარჯვებულია და რევოლიუციას ახდენს დამარცხებული მხარე თითქოს რევოლიუცია უბედურთა და დამარცხებულთა საგანე იყოს.

ეს პროცესი რევოლიუციის და ომის ჭიდილისა არც ჩვენს ქვეყანაშია დამთავრებული. რუსეთში ომმა უკვე წალეკა რევოლიუცია, ამიერკავკასიის მდგომარეობა იმდენად უმჯობესია, რამდენადაც სუსტი იმპერიალისტური ქვეყანა გვყავს მოწინააღმდეგ და თვით ჩვენი ხალხი უფრო ერთსულოვნობით არის გაჟღენთილი, ვიდრე რუსების საზოგადოება. მაგრამ სამაგიეროდ ეროვნული განწყობილება გაცილებით რთულია ამიერკავკასიაში ვიდრე ველიკორუსეთში. დღემდინაც ვერ მოგვიხერხებია მტკიცე ნებისყოფის მთავრობის შედგენა, ვერ გამოგვინახავს ყველასათვის სავალდებულო საერთო ენა, რომ სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ილიუზია კი არ ყოფილიყო მხოლოდ, არამედ რეალური ფაქტი.

დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის ერთობას, ყველა ერის ყოველ კლასის ერთი მიზნით გამოქვავლვას, მაგრამ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია დღესაც არ მიგვაჩნია შექმნილად თუმცა სამინისტრო უკვე შედგა. სამინისტრო მთავრობა და სახელმწიფოებრივი ორგანიზმი კიდევ არ არის, აქტიური იმპულსი და სახელმწიფოებრივი დინამიტი იქმნება საზოგადოებაში, ხალხში და სახელმწიფოებრივ ორგანიზმას სხეულება უნდა იხატებოდეს ხალხის სხეულებაში. ფეტიშადაც რომ გარდავაქციოთ სახელმწიფოებრივი ილიუზია ამიერკავკასიის მთლიანობას ვერ შევქმნით თუ ეს ქმნილება დამყარებული იქნება ხალხთა თავისუფალ ნებისყოფაზე. თავისუფლების საშუალებით ამიერკავკასიის ცენტრალიზმი შეუძლებელია ძალიანაც სასურველი რომ იყოს. ამ მექანიკურ და არა ორგანიულ მთლიანობას მივაღწევთ მხოლოდ ძალით, დიქტატურის, ხალხის დამონავებით რაიცა აშკარა დემოკრატიულ პრინციპს ეწინააღმდეგება. თვითმპყრობელობამ იმიტომ შექმნა ცენტრალიზმი, რომ შებორკილი იყო ხალხთა ინტერესები, ამავე მიზანს, სახელმწიფოებრივ ერთობას იმიტომ ვერ შევქმნით ჩვენ, რომ ხალხის სიტყვას, ხალხის აზრს ვემყარებით და ხალხს კი არ უნდა ერთი ინტერესი ქონდეს თათარს, სომეხს და ქართველს. სწორედ ამიტომ ხდება თვით სამინისტროს შედგენისას ის სამწუხარო ამბები, რასაც ვხედავთ თუნდ ბორჩალოს აქტებში. ისახება სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, მაგრამ ამ ორგანიზაციას ხალხი მშობლიურ ორგანიზაციად ჯერ სახავს, ამ მთავრობას თავის პირმშო შვილად არა სცნობს და მზად არის დღეს სადახლოში დაეცეს სახელმწიფოებრივ მექანიკის ერთ ელემენტს, ხვალ განჯაში და ზეგ აქსტაფაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ფაქტი კი არ არის, არამედ ხელოვნურად შექმნილი ილიუზია და როგორც ასეთი ის იქნება უდღეური და უნაყოფო.

ჩვენ ძალიან გვწყურიან მწყობრი სახელმწიფოებრივი ეკონომიკა. ეროვნულ ვითარებისათვის სახელმწიფოებრივი უძლურება მთელი ტრაგედიაა, მაგრამ მწუხარებით აღვნუსხავთ, რომ პირველი დღეც სამინისტროს შექმნისა ძალიან ბევრს არ დააკმაყოფილებს, ბევრისათვის ეს ფაქტი უმნიშვნელოდ ჩაივლის და არც ერთ საკითხში ეს ფაქტი არც შერიგებას მოახდენს და არც ინტერესთა დაახლოვებასაც. ამნაირად სახელმწიფოებრივ მექანიკის ფაქტთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ილიუზიასთან, ჩვენს წინაშე სახელმწიფოებრივი მირაჟი და დეკორაციაა გადაშლილი და არა თვით სახელმწიფო. ასეთი სახელმწიფოებრივი კონიუნქტურა ძალიან მალე იჩენს თავს, ვერ დავსძლევთ ვერც საშინაო ანარქიას და ვერც ომის მოთხოვნილებებს, ვერ მოვახდენთ მთელ ამიერკავკასიის ძალთა კონცენტრაციას და უდიდესი მიზნის ძიებაში ხელიდან გამოგვეცლება ნაკლები ძლიერებაც. საქართველოს უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ უდიდესი პლანები გვავიწყებდა ეროვნულ შემოქმედებას, ოცნების სფერო გვიტაცებდა დიად მიზნებისთვის და დიდ საქმეებში გამტყუნებულნი საშინაო საქმეებსაც ვაგებდით. სახელმწიფოებრივ და ეროვნულ საქმეებში ავანტიურის პრინციპი სამუდამოთ უკუვაგდოთ, უნდა ვაკეთებდეთ არა იმას, რაც ყველას სჯობია, არამედ რაც შეიძლება გაკეთდეს: სახელმწიფოებრივი ილიუზია კი არ უნდა გვხიბლავდეს, არამედ სახელმწიფოს

რეალური ორგანიზაცია, სახელმწიფოებრივი ფაქტი. ეს პრინციპი ერთი რეალური პრინციპია სახელმწიფოებრივ მექანიკაში და ამ პრინციპის მიხედვით ჩვენ ვამბობთ: დღეს შექმნა სამინისტრო, ამიერკავკასიის მთავრობა, მაგრამ თუ ამ მთავრობის ძირეული რეკონსტრუქცია არ მოხდა ძალიან მალე ეროვნულ და ინტერნაციონალურ პრინციპის მიხედვით—დავინახავთ, რომ ესოდენ ტანჯვა-ვაებით შექმნილი მთავრობა უნაყოფო იქნება და თავსატეხი საკითხები კვლავ თავსატეხ საკითხებად იქნება დარჩენილი.

**ფედერალურ საბჭოს დადგენილება.**

სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის მიერ მოწვეული ფედერალური საბჭოს კრება ქუთაისში დამთავრდა. საბჭოს საგანი იყო თანამედროვე მომენტი და სამშობლო. საგანგებოდ მოწვეული პირებიც, სპეციალისტები ყოველმხრივ აშუქებდნენ საქართველოს თანამედროვე მდგომარეობას, ომის პირობებს, დემოკრატიის და რევოლიუციის მიზნებს. მოუდგომელ და ხანგრძლივ კამათის შემდეგ ფედერალურ საბჭომ გამონახა ერთი ენა, ერთი აზრი, ერთი ამოძახილი დღევანდელ პირობებში: სამშობლოს დაცვა, ხალხთან წასვლა ერის დასაცავად, ეროვნულ ძალების მობილიზაცია ერისა და რევოლიუციის დასახსნელად.

აღსრულდა რასაც მოველოდით, რასაც ვფიქრობდით. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის უმთავრესმა ორგანომ გაიმეორა რასაც ყოველი სოფელი, ყოველი მოქალაქე გაიძახის: სამშობლო უნდა დავიცვათ, მტერს არაფერი დაუთმოთ, საკუთარ უბედურებას უბრძოლველად ვერ ვალიარებთ, უსიკვდილოთ ვერ დავსთმობთ რევოლიუციას, ტერიტორიას, სამშობლოს.

ჩვენი გზა დღეს—ომის გზაა, ომი არა დაპყრობითი, ომი თავის დამცველი, ომი არსებობის შესარჩენად. დღეს გვედავებიან ჩვენს ღვიძლ მხარეს და ძმებს, დღეს უნდათ სადაც თავისუფლებაა მონობა აღადგინონ, სადაც ჩვენი ხალხი იგი ხალხი დაიპყრონ და ტყავი გააძრონ. არა, ამ საზარელ მიზანს ჩვენ ბრძოლით უპასუხებთ: აჰა ჩვენი გულ-მკერდი, ჩვენი სხეული, ჩვენი სისხლი, ჯერ ეს სხეულები უნდა დაგლიჯოს მტერმა, რომ შემდეგ გვიკარნახოს სამარცხვინო ზავის სამარცხვინო პირობები.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ფედერალური საბჭო ავალებს პარტიის ყოველ წევრს ყოველი საშუალებით ხელი შეუწყოს საომარ სამზადისს, დაეხმაროს ხალხს სურსათის დაგროვებაში, ეროვნულ ენერგიის შემუშავებაში, რათა ძალთა მაქსიმუმით მაქსიმალურ გამარჯვებას მივაღწიოთ.

ბრძოლა სამშობლოსათვის!—ეი თანამედროვე ლოზუნგი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა და ამ ლოზუნგის გარშემო უნდა დადგეს მთელი საქართველოს დემოკრატია.

## ქალთა ხელები

ეროვნული ომი დაიწყო, რევოლიუციის და თავისუფლების საქმე მჭიდროდ დაუკავშირდა ომის ასპარეზს. გამოირკვა, რომ რევოლიუციის და სამშობლოს კეთილდღეობისათვის მარტო შინაურ წურბლების დაძლევა კი არ ყოფილა საკმაო, გარეშე მტრებიც და იმპერიალისტებიც უნდა ალიგავნენ.

ქართველი ერი დღეს ბრძოლაშია გართული, ყველა ეროვნულ ომს ეწირება, რათა მახვილი ჩასცეს უცხოელთა მტარვალებს საშინაო კეთილდღეობის განსამტკიცებლად.

25 წლამდე ახალგაზრდობა უკვე იარაზმებიან, უფრო დიდი ხნის ხალხიც აღარ ჩერდება შინ და მოხალისეებად ეწერებიან. ყველა თვალხილული ვხედავთ, რომ თვით ხალხი თავის სურვილით ახდენს მობილიზაციას და თვითვე ქმნის ომისათვის საჭირო უმთავრეს მასალას ფიზიკურ ენერგიას.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ მარტო ჩვენი ძმების ხორცი და სული არ კმარა ომში გამარჯვებისათვის. დღეს არც ფულია საჭირო, რომლითაც ვერაფერს ვიშოვით, ამ ჟამად ყოველ ღირებულებაზე დიდი ფასი აქვს საჭმელ-სასმელს, ეს არის ბაჯაღლო ოქრო და ამ სურსათით არა თუ ქართველ ერის ჯარს დიდ ხანს შევინახავთ მადლიერად, ყოველ სხვა სამხედრო მასალასაც ვიპოვით, რათა ყოველ მხრივ შეიარაღებულმა მტერს სათანადო პასუხი მივსცეთ.

ამ საქმეში დიდი როლის თამაში შეუძლია შეგნებულ ქართველ ქალებს. ჩვენ გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში ვკითხულობთ ქალთა სხვა და სხვა ორგანიზაციის მოწოდებას ქალებისადმი, რომელთაც ათასგვარი კომისია აურჩევიათ სამხედრო მუშაობის განაწილებისათვის. ჩვენ გვჭირიან მოწყალების დანიც, მკერავნიც, ექიმებიც, ფარმაცევტებიც, მაგრამ რაც უმთავრესია დღევანდელ ჩვენს საჭიროებისათვის—ამის შესახებ კი არავინ არაფერს ამბობს. ჩვენ ვლაპარაკობთ მინდვრად მუშაობას.

დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეროვნულ ომის ენერგია არც კალმისა და სიტყვის ძალაზეა დამოკიდებული და არც მამულიშვილურ აღტაცებაზე. საჭმელი და სასმელი, საზრდო ომის პირველ ხარისხოვანი მასალაა, ურომლისოდაც ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია ჩვენს ჯარს.

არაფერს ვამბობთ სასურსათო მდგომარეობის შესახებ ჩვენში. დღეს კვლავ დაგვიდგა მომენტი, როდესაც ყველაფრის აშკარად თქმა შეუძლებელია, აღვნუსხავთ მხოლოდ, რომ არავისი იმედი არ შეიძლება გვქონდეს, არავითარი სახსარი არ არის, გარდა საკუთარი მამულის დამუშავებისა, გარდა ძლიერ მკლავთა ამოძრავებისა.

ქალები, როდესაც ჩვენი ამხანაგი მამაკაცები ძვირფას ოჯახებს სტოვებენ და სამშობლოსათვის თავს სწირავენ, იარაღს მიმართავენ და თავს სდებენ ერის დიდებისათვის, ნუ თუ შინ დარჩენილ ქალთათვის უწმინდესი მოვალეობა არ არის ჯარს, ჩვენს შვილებს და ძმებს ის მივაწოდოთ, რაც მას ყველაზე მეტად სჭირია რაც ჯარს გამოკვებს და გააძლიერებს. ჯარის სურსათით გამდიდრება მათი გამარჯვების უმთავრესი პირობაა, მათი სიკვდილიდან დახსნაა, მათი ოჯახში მოსვლის თავდებია.

განა დღეს ვინმეს უნდოდა მინდვრების მიტოვება და ჯარში წასვლა? განა დღეს ყველა თოხსა და ბარს არ ლესავდა ოჯახის ბედნიერებისათვის? ნუ თუ ეხლა, გაზაფხულის პირად გალესილი თოხი და ბარი ისევ უნდა დაიჟანგოს და ჩვენს გმირ მეომრებს დავანახოთ ოჯახის სიმშილი, ხოლო თვით ჯარს ბრძოლის წყურვილი მოუკლათ სურსათის უქონლობის გამო?

ქალთა ხელებს იმიტომ ვიგონებთ დღეს, რომ ვიცით ამწუთაში სადაც არის ძალა. მთელი ახალგაზრდა და ჯანიანი ქალები დღეს შინ არიან, ვიცით, რომ თუ ქალებმა დაიძინეს სამშობლო დაიღუპება. ისიც ძალიან კარგად ვიცით, რომ ჩვენი ქალები საზოგადოდ არ ეტანებოდნენ მინდვრის მუშაობას, თოხნას, თესვას, მკას, მაგრამ თუ ეს ჩვეულება ეხლაც შევინახეთ—უეჭველად მოვისპობით.

დღეს აღარ არის ძველი დრო, დღეს ჩვენი ამხანაგი მამაკაცები ბრძოლაში მიდიან, ესე იგი არა სასურველ საქმეს კიდებენ ხელს ხალხის, ერის, სამშობლოს დიდებისათვის და ქალებმაც უნდა დაიწყონ შეიძლება არა სასურველი, მაგრამ საჭირო და სასარგებლო საქმის გაკეთება.

დღეს ერი მოითხოვს ქალთაგან არაჩვეულებრივ შრომას და დახმარებას, დღეს ერი მოელის ქალებისაგან ომისათვის საჭირო მასალებს და ქალებმა ერის ეს მოთხოვნილება უნდა გაამართლონ. ამ ბრძოლაში ერი განამტკიცებს ძლიერებას, ხოლო თოფის და ზარის ტრიალში ქალებიც შექმნიან პატივსა და უფლებას. დღეს ქალებმა უნდა სთქვან არიან ისინი მამულთან თუ არ არიან მამულთან, არიან ერთან თუ არ არიან ერთან.

ვინც ფუნთუშა ხელებით ღვინდელ სისხლის დღეებს გაატარებს ის ქალი სამარცხვინო სახელს მოიხვეჭს ერისაგან. ვინც დაკოჭლებულ ხელებით არ შეხვდება ბრძოლაში წასულ ქმრებს, ძმებს და ამხანაგებს, იმას უნდა უთხრათ, რომ ომში წასულებს ზურგში ჩასცენ მახვილი და გაუმწარეს სამხედრო სამსახური.

სოფლის და ქალაქის შეგნებული ქალები დღეს სოფლებს უნდა აქცევდნენ უდიდეს ყურადღებას, დღეს ქალთა მშრომელი რაზმები უნდა შესდგეს ყველგან და შინ დარჩენილ მამაკაცებთან იმუშაონ ყანაში, მოუარონ მამულს, არც ერთი მტკაველი მიწა მოუხვნელი და დაუთესელი არ იქმნას დატოვებული, რადგან, მარტოოჯახი კი არ უნდა გამოვკვებოთ, ჯარიც უზრუნველვყოთ, პურით ვიშოვოთ ყუმბარა, თოფი, წამალი, პურით დავაგროვოთ ფული და გავამდიდროთ ერის ფონდი.

დიდი მრავლეობის დროს ნაკლები ლაპარაკია საჭირო, თვით ერის მდგომარეობა ლაღადებს ჩვენს სიტყვებს, თვით გაჭირვება გვავალებს ქალებს უთხრათ რაც სათქმელია. ზოგიერთს გონია, რომ სამეურნეო შრომისათვის ქალები არ არიან ჩვეულნი და მომზადებულნიო. მაგრამ განა ვაჟკაცები კი ჩვეულნი და მომზადებულნი არიან სიკვდილისათვის? შრომა ჩვეულების საუკეთესო სკოლაა და საჭიროა ეხლავე დავიწყოთ მუშაობა, იქ გამოვსწედთ ჩვეულებას, იქ ქალები გამაგრდებიან ფიზიკურად, იქ ქალები გაამართლებენ ერის იმედებს.

ვინც დღეს ყანაშია—ის ხალხთან არის, ვინც უსაქმოდ ცხოვრობს და არ ფერს ნივთიერს არა ქმნის, ის ერის მოღალატეა. დეე სთქვან ქალებმა რაც უნდა ითქვას და რაც უნდა გააკეთონ დღევანდელ პირობებში.

თედო ღლონტი.

# ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია

### მეოთხე სხდომა

**ა. ჩხენკელმა** გამოაქვეყნა ამიერკავკასიის დელეგაციის დეკლარაცია ოტომანის დელეგაციის 16 მარტის განცხადების შესახებ:

„ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ფორმალურად არ არის სავალდებულო და არსებითად მიუღებელია ამიერკავკასიისთვის.

ხელშეკრულება მიღებულია რუსეთის მიერ ისეთ მომენტში, როდესაც ის იყო (და აქამდესაც არის) სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეული, როდესაც იქ არ არსებობდა მთლიანი ცენტრალური მთავრობა და როდესაც ერთ-ერთი გამომხატველი რუსეთის ერთა სუვერენულ ნებისყოფისა—დამფუძნებელი კრება—გარეკილი იყო.

რაც შეეხება ამიერკავკასიას, როგორც ეს უკვე განაცხადა ამიერკავკასიის დელეგაციამ თავის დეკლარაციაში 2 მარტს, მის ტერიტორიაზე ცენტრალურმა მთავრობამ შესწყვიტა თავის მოქმედება დღიდან ბოლშევიკების აჯანყების დაწყებისა და მის მაგივრად იქ დაწესდა დამოუკიდებელი მთავრობა ამიერკავკასიისა.

ამ ფაქტს ოტომანის მთავრობაც აღიარებდა, როდესაც მან 1 იანვარს თავის სამხედრო სარდლის პირით წინადადება მისცა ამიერკავკასიის მთავრობამ საზავო მოლაპარაკება დაეწყოთო. ე. ი. მას დამოუკიდებლად უწოდებდა შემდეგ 15 იანვარს ოტომანის მთავრობამ კვლავ მიმართა წინადადებით ამიერ-კავკ. მთავრობის ბრესტ-ლიტოვსკში დელეგატები გაგზავნეთო და იქვე ჰპირდებოდა, რომ ცენტრალური სახელმწიფოების დელეგატები, ბრესტ-ლიტოვსკში შეკრებილნი, მზად არიან ყოველი ღონე იხმარონ, რათა სცნონ ამიერ-კავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობაო.

ოტომანის დელეგაციამ მოიხსენია ამიერკავკასიის თავმჯდომარის დეპეშა 1918 წლის 23 იანვარს გამოგზავნილი სადაც ნათქვამია რომ ის აუცილებლად სთვლის შეუთანხმოს თავის მოქმედება რუსეთის რესპუბლიკის სხვა ავტონომიური ერთეულების მოქმედებასა და აქტებს; მაგრამ მას დაავიწყდა ის საპასუხო დეპეშა ოტომანის მთავრობისა 1918 წლის 10 თებერვალს გამოგზავნილი, რომელშიაც ოტომანის მთავრობა აუწყებს ამიერ-კავკასიის მთავრობას, რომ ის მზად არის თავისი დელეგატები გაგზავნოს „ზავის საბოლოოდ პირობების“ გამორკვევით და „საზავო ხელშეკრულების“ ხელმოსაწერად. აქედან ცხადია, რომ ოტომანის მთავრობა ზ. გეგეჭკორის დეპეშის შემდეგაც სცნობდა ამიერკავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობას ე. ი. ერთად ერთ სრულ უფლებიანად ოტომანის მთავრობასთან ზავის შეკვრაში.

ამიერკავკასიის სეიმის და მთავრობის თავმჯდომარეთა პროტესტი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობების იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც ამიერკავკასიას შეეხება, დეპეშით იყო გამოგზავნილი საზავო პირობების ხელის მოწერამდე.

დასასრულ, თვით ფაქტი ოსმალეთისა და ამიერკავკასიის დელეგაციათა შეხვედრისა ტრაპიზონში იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ორივე მხარეს ერთნაირად ჰქონდა შეგნებული კეთილ მეზობლურ ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა და ერთნაირადვე არ აძლევდნენ მნიშვნელობას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას.

ამის გამო ოტომანის დელეგაციის დასკვნა ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულობის იმ ნაწილს სავალდებულო ხასიათის შესახებ, რომელიც ამიერკავკასიას ეხება, იურიდიულად უსაფუძვლოა და სრულებით არ გამომდინარეობს იმ მოლაპარაკების მსვლელობიდან, რომელმაც ჩვენ ტრაპიზონში მოგვიყვანა.

ამიერკავკასიის დელეგაცია თავის მოვალეობად სთვლის განაცხადოს, რომ მოლაპარაკების მთავარი ძარღვი ფორმალურ-იურიდიულ დავაში კი არ არის, არამედ არსებით ნაწილში,—მით უმეტეს, რომ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს დამოუკიდებელი სახელმწიფო ამიერკავკასიისა, რასაკვირველია შეასრულებს ყველა იმ ფორმალობას, რომელსაც საერთაშორისო უფლება მოითხოვს,

ამიტომ ამიერ-კავკასიის დელეგაცია დროულად და აუცილებლად სთვლის დაუყონებლივ შეუდგეთ იმ კონკრეტიულ წინადადებათა განხილვას, რომელიც ორივე დელეგაციის აზრით საფუძვლად უნდა დაედოს მტკიცე ზავს ოტომნის და ამიერკავკასიის სახელმწიფოებს შორის.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი ფორმას ეხლა იმუშავებს ამიერ-კავკასიის სეიმი. შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დამყარდება დემოკრატიული, ფედერატიული რესპუბლიკა.

ამიერკავკასიის სახელმწიფოს ტერიტორიას შეადგენს გუბერნიები: ბაქოს განჯის, ერევნის, ტფილისის და ქუთაისის; ოლქები: ბათომის, ყარსის, სოხუმის და ზაქათალის; დაღესტნის ოლქისა შავი ზღვის გუბერნიის შესვლის საკითხი ამ.-კავკ. სახელმწიფოში ჯერ ღიად არის, ვიდრე ისინი თავის წარმომადგენლებს არ გამოგზავნიან ამიერ-კავკასიის სეიმში.

ოფიციალურ ენად ჯერ ხანობით რჩება რუსული; მაგრამ დელეგაციას შეუძლია სთქვას, რომ ის კონსტიტუცია, რომელიც ეხლა მუშავდება, სახელმწიფოებრივ ენებად აღიარებს: ქართულს, სომხურს და თურქულს.

ამ ჟამად ამიერკავკასიაში მოქმედებს კანონი სინდისის თავისუფლების შესახებ; კონსტიტუცია რომელიც სეიმი მუშავებს, უეჭველად გამოჰყოფს ეკლესიას სახელმწიფოსაგან და მოსპობს მართლმადიდებელ ეკლესიის ბატონობის ნაშთებს.

ამიერკავკასიამ, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო სამხარო მდგომარეობა რუსეთსა და ოსმალეთს შორის თავის საზღვრებზე, რომელიც ბრესტ ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულობით დამთავრდა (ხოლო მის შინაარსმა ამიერ კავკასიის შესახებ ამიერ კავკასიის მთავრობის პროტესტი გამოიწვია),—ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს გამართული ოსმალეთთან, რათა ამ ომის შედეგების ლიკვიდაცია მოახდინოს და მტკიცე „ზავი ჩამოაგდოს მასთან“.

**ოტომანიის დელეგაციის პასუხი.**

ამიერ კავკასიის დელეგაციის მის მიერ წაკითხულ დეკლარაციაზე რაუფ-ბეიმ შემდეგი პასუხი გასცა ოტომანის დელეგაციის სახელით.

„ოტომანის საიმპერატორო დელეგაციამ დიდის ყურადღებით განიხილა ამიერ კავკასიის დელეგაციის 1918 წლის 18 მარტის დეკლარაცია და მოვალედ სთვლის მუხლობრივ უპასუხოს აღნიშნულ დეკლარაციას და შემდეგი მოსაზრებები გამოსთქვას:

1) ეჭვობი არ უნდა იყოს ამიერ კავკასიის დელეგაციისთვის, რის თანახმად საერთაშორისო საჯარო უფლებისა, შინაურ არეულობას ქვეყანაში მთავრობის წინააღმდეგ და გაჩაღებულ სამოქალაქო ომს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს განსაკუთრებით საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით, ხსენებული მთავრობის იურიდიულ მდგომარეობაზე იმ დრომდე ვიდრე არეულობა და სამოქალაქო ომი არ აიძულებს მას (ე. ი. მთავრობას) დაეცხოს და სხვა ძალა-უფლებას დაუთმოს ადგილი.

ამ პრინციპით რომ მივუდგეთ რუსეთში მომხდარ შინაურ ცვლილებებს, შეგვიძლია შემდეგი დავასკვნათ: შინაურმა აჯანყებამ რომელიც მაშინ გაჩაღდა, როდესაც რუსეთში მეფე ბატონობდა, დაამხო მეფის მთავრობა და შესცვალა ის ლვოვ-კერენსკის მთავრობით. უკანასკნელის დამხობის შემდეგ, რაც შედეგი იყო ლენინის ხელმძღვანელობით წარმოებულ რევოლიუციონურ მოძრაობისა,—ეხლანდელმა მთავრობამ—ფაქტისა და უფლების ძალით, დაიკავა მისი ადგილი. რაც შეეხება დამფუძნებელ კრების გარეკვას იმ პირობებში, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს, აქ შეიძლება ჩვენი ცოტად თუ ბევრად საინტერესო მოვლენასთან გვქონდა საქმე, რაც ზედმეტი საბუთია იმისა, თუ რამდენად ძლიერია ეს მთავრობა.

ამის გამო წარმოებულ სარევოლიუციო მოძრაობას არავითარი გავლენა არ აქვს საგარეო ურთიერთობაზე, რამდენადაც ის გამარჯვებით არ დამთავრდება და რამდენადაც რომელიმე ნაწილი ქვეყნისა არ გამოეყო სრულებით მასკარ დაასრულა პროცესი თავისი შექმნისა, თანახმად საერთაშორისო უფლებისა, და დამოუკიდებლად არ იქმნა ცნობილი სხვა სახელმწიფოების მიერ. აქედან თავის თავად ცხადია, რომ ზემოაღნიშნულ პირობების შეუსრულებლად, ყოველი აქტი და ტრაქტატი, რუსეთის აწინდელი მთავრობის მიერ დადებული, ძალაშია იურიდიულის თვალსაზრისით და სავალდებულო რუსეთის ყოველი ნაწილისათვის.

2) როგორც უკვე განაცხადა ოტომანის საიმპერატორო დელეგაციამ, მისი უდიდებულესობის მთავრობა რუსეთთან ზავის შეკვრამდე გარცნო საგანგებო სახელმწიფოს შექმნის საქმეს ამიერ კავკასიაში და მიმართა უკანასკნელს საზავო წინადადებით. მაგრამ ამ წინადადებას არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს, რამდენადაც დაწყებული მოლაპარაკება არ მთავრდება და რამდენადაც ამ მთავრობას ოფიციალურად არ აღიარებს ოტომანის საიმპერატორო მთავრობა.

3) ოტომანის საიმპერატორო მთავრობა ფიქრობს, რომ ამიერ კავკასიის მთავრობის განცხადება მისი დამოუკიდებლობის შესახებ—ამ დამოუკიდებლობას ის აფუძნებს ზემოაღნიშნულ წინადადებაზე, რომელიც მხოლოდ აბსტრაქტიული დაპირებაა,—რომ ეს განცხადება მიუღებელია იმის გამო, რომ ოთხთა კავშირის წინადადება ბრესტ ლიტოვსკის კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ, ამა თუ იმ მოსაზრების გამო ამიერ კავკასიის მთავრობამ არ მიიღო, ხოლო ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა არ იქმნა აღიარებული ცენტრალურ სახელმწიფოთა და ამიერკავკასიის ხელშეკრულებით, მაგზავსად იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულ იქმნა უკრაინასთან.

4) ოტომანის საიმპერატორო დელეგაციას პატივი აქვს განაცხადოს, რომ 10 თებერვლის დეპეშის შინაარსს, რომელიც მხოლოდ აბსტრაქტიული წინადადება იყო, ექნებოდა ძალა, როგორც სხვებს, ფორმალური ხელშეკრულებით რომ ყოფილიყო დამტკიცებული. მოლაპარაკების დაწყებას რომ თავისთავად ჰქონდეს ფორმალური ძალა, მაშინ პოლიტიკურ ხელშეკრულებებში, რომელიც ახალი სახელმწიფოების შექმნის დროს იწერება, არ მოათავსებდნენ საგანგებო მუხლებს, რომელიც ეხება ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის აღიარებას.

5) ოტომანის საიმპერატორო დელეგაცია ფიქრობს, რომ არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს შექმნის პროცესში მყოფ იმ სახელმწიფოებრივი ორგანიზმის პროტესტს, რომელიც ჯერ არ შესულა სახელმწიფოთა რიცხვში, ხელშეკრულების სავალდებულო ხასიათს შესახებ, რომელიც ინტერნაციონალურ აქტს წარმოადგენს არავითარი იურიდიული ძალა არ აქვს ასეთს პროტესტს, სულ ერთია, ხელშეკრულების მოწერის წინ იქნება ეს პროტესტი და თუ მის შემდეგ.

ამის გარდა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ, რადგან ინტერნაციონალური აქტები იურიდიულად განუყოფელ მთლიანს შეადგენენ, მაშასადამე, შეუძლებელია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში უარვჰყოთ ის ნაწილი, რომელიც კავკასიას შეეხება, ტრაქტატის დანარჩენ ნაწილებს.

6) ოტომანის საიმპერატორო დელეგაციას მიუღებლად მიაჩნია ის დასკვნა, რომელიც ამიერკავკასიის დელეგაციამ გამოიტანა თავისი დეკლარაციის მეექვსე მუხლში, რადგან ეხლანდელ მოლაპარაკების სხვა მიზანი არაფერი არა აქვს გარდა საეკონომიო და საკომერციო ურთიერთობისა და მათი პრაქტიკული და ტეხნიკური დეტალების შემუშავებისა, რაც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების გარეშე დარჩა. ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა ეკარგება.

ოტომანის საიმპერატორო დელეგაცია ემყარება რა ყველა ამ მოსაზრებას, კვლავ ამტკიცებს, რომ ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულება, წინააღმდეგ ამიერკავკასიის დელეგაციის აზრით, სავალდებულოა.

ოტომანის საიმპერატორო დელეგაცია სურვილს გამოსთქვამს, რომ ამიერკავკასიამ გამოაცხადოს დამოუკიდებლობა, ვიდრე დაწყებული მოლაპარაკება საბოლოო ხასიათს მიიღებდეს და იმ შედეგებამდე მიგვიყვანდეს, რომლითაც ასე ესწრაფის ორივე მხარე“.

### მეხუთე სხდომა.

აკ. ჩხენკელმა წაიკითხა ამიერკავკასიის დელეგაციის პასუხი ოტომანის დელეგაციის 7 მარტის დეკლარაციაზე.

„ოტომანის დელეგაციის 1917 წ. 7 მარტის დეკლარაციის შესახებ ამიერკავკასიის დელეგაციას პატივი აქვს შემდეგი განაცხადოს:

ამიერკავკასიის დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების უფლებრივობისა და ვალდებულობის შესახებ ძველ აზრს ადგას.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, ამიერკავკასიის დელეგაციას აქვს აცნობოს ოტომანის დელეგაციას, რომ ამიერკავკასიის სეიმმა ამა წლის 7 მარტის სხდომაზე დაადგინა: სეიმმა, განიხილა, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების საკითხი, ერთგვარ პირობებში პრინციპიალურად შესაძლებლად სცნო ამ საკითხის დადებითად გადაჭრა და სპეციალურ კომისიას აცნობა მის შემუშავება ახლო მომავალში“.

ამიერკავკასიის დელეგაციას საფუძველი აქვს იფიქროს, რომ სეიმის დადგენილებაში მოხსენებული „ერთგვარი პირობები“ პირდაპირ არის დაკავშირებული მტკიცე ზავის შეკვრასთან ოტომანის და ამიერკავკასიის მთავრობებს შორის ორივესათვის მისაღებ საფუძველზე.

თანახმად ამ.-კავკ. სეიმის 2 მარტის დადგენილებისა ეს საფუძვლები შემდეგია:

1. ამ.-კავკ. სეიმი დამყარებულ პირობებში თავის თავს სრულუფლებიანად სცნობს შეკრას ზავი ოსმალეთთან.

2. ამ.-კავკ. სეიმმა, შეუდგა—რა საზოგადო მოლაპარაკებას, მიზნად დაისახა საბოლოო ზავი შეკრას ოსმალეთთან.

3. საზავო ხელშეკრულებას საფუძვლად უნდა დაედოს რუსეთსა ოსმალეთის სახელმწიფოებრივი საზღვრების აღდგენა, 1914 წელს ომის გამოცხადებამდე რომ არსებობდა.

4. დელეგაცია ეცდება თვითგამორკვევის უფლება მოიპოვოს აღმოსავლეთ ანატოლიის ერებისათვის, კერძოდ ოსმალეთის სომხეთის ავტონომიისათვის ოსმალეთის სახელმწიფოებრიობის ფარგლებში.

**შენიშვნა** პირველ მუხლის შესახებ: ამიერკავკასიის დელეგაცია საჭიროდ სთვლის გაიმეოროს თავისი 5 მარტის განცხადება იმის შესახებ, რომ საზავო ხელშეკრულობის რატიფიკაციის დროს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო შეასრულებს ყველა იმ ფორმალობას, რასაც საერთაშორისო უფლება მოითხოვს.

ამიერკავკასიის დელეგაციას იმედი აქვს, რომ ამ დებულებათა ერთად განხილვა შეთანხმებამდე მიგვიყვანს და სასურველ მტკიცე ზავსაც შევკრავთ.

### ოსმალთა პასუხი.

ამიერკავკ. დელეგაციას რაუფ-ბეი შემდეგ პასუხს აძლევს:

„ჩვენ მოვისმინეთ ამიერკავკასიის დელეგაციის დეკლარაცია და ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იმ პუნქტის გამო, სადაც განზრახვაა ჩვენ შინაურ საქმეებში ჩაერიონ. ჩვენის აზრით ეს დეკლარაცია არ შეესაბამება იმ მიზანს, რომელიც დელეგაციას აქვს და რომელიც მდგომარეობს კეთილმეზობლურ ურთიერთობის დამკვიდრების სურვილში.

რადგან წინა მსჯელობით საკმაოდ გამოირკვა საქმის მდგომარეობა, ჩვენ იძულებული ვართ ეს უკანასკნელი წინადადებაც ვაუწყოთ ჩვენს მთავრობას და ამიერკავკასიის დელეგაციის თვალსაზრისიც იმ დეკლარაციის შესახებ, რომელსაც ეხლა წაგვიკითხავთ და რომელის პასუხსაც ამ მოკლე ხანში მოვითხოვთ:

„ოტომანის საიმპერატორო მთავრობამ შეკრა ზავი რუსეთის რესპუბლიკის მთავრობასთან და დასდო ხელშეკრულება, რომელიც სავალდებულოა მთელი რუსეთის ტერიტორიაზე. ვიღებთ—რა მხედველობაში, რომ კავკასიის მთავრობა იმ დროს არ იყო შემდგარი და მისი ფორმაც გამორკვეული—თუმცა ის თავის მიზნად ისახავდა რესპუბლიკურ კონფედერაციის შექმნას თვითგამორკვევის უფლებით თვითოეულ ერისათვის, და აგრეთვე იმას, რომ ეს მთავრობა არ იყო ცნობილი და აღიარებული,—ოტომანის მთავრობა ჰფიქრობს, რომ ხსენებულ საზავო ხელშეკრულების დებულებები არც უარყოფილი შეიძლება იქმნეს და არც პროტესტის განცხადება შეიძლება მისი მხრით. ოტომანის დელეგაცია გაეცნო იმას, რომ ხსენებული რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება, სიამოვნებით ეგებება ამ მოვლენას და მზად არის დაიწყოს მასთან მოლაპარაკება მეგობრობის ხელშეკრულების ოტომანის საიმპერატორო მთავრობის და რუსეთის ურთიერთ ვალდებულებას, რადგან უკანასკნელმა აღიარა თავისი ერების მიმართ თვითგამორკვევის უფლება. ხოლო კავკასიის რესპუბლიკის საბოლოოდ ოფიციალურად აღიარება იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ საგანგებო დებულება იქმნება ხელშეკრულებაში, რომელიც დადებული იქნება და უკანასკნელის შესახებ მოლაპარაკების გამართვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ უარყოფილი იქნება ყოველგვარი პრეტენზიები ბათომის, არტაანის და ყარსის სანჯაყებზე. სამხარო მდგომარეობის გადმოტანა კავკასიაში შეუძლებელია, რადგან რუსეთთან ზავი შეკრულია, ხოლო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება სავალდებულოა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ეხლა იქმნება. ამ ხელშეკრულებამ მიანიჭა საიმპერატორო მთავრობის მის მიერ მოპოვებული უფლება და ოტომანის დელეგაცია ჰფიქრობს, რომ კავკასიის დელეგაციას არავითარი უფლება არა აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს, რადგან საერთაშორისო აქტი უფლებასა და ძალას ანიჭებს ოტომანის იმპერიას ჩაერიოს ახალი წესის დამყარებაში ამ სამ ზემო მოხსენებულ სანჯაყში და ამასთანავე დაავალოს რუსეთს დასცალოს ისინი და საბოლოოდ უარი სთქვას მათზე; ხოლო ოტომანის დელეგაცია აცხადებს, რომ მისი მთავრობა მზადაა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა ამ ტერიტორიისა და კავკასიის ტერიტორიის შორის დამყარდეს შეღავათიანი საეკონომიო პირობები.

### მოლაპარაკების შეწყვეტა.

ოტომანის დელეგაციის დეკლარაციიდან გამოირკვა, რომ ბათომის, ყარსის და არტაანის შესახებ ლაპარაკი სრულებით ზედმეტია და სხვა საკითხებზე მოლაპარაკების გაგრძელებისთვის აუცილებელ პირობად არის აღიარებული, რომ—ამიერ-კავკასიამ უარი სთქვას თავის პრეტენზიებზე ბათომის, ყარსის და არტაანის შესახებ.

რადგან ამიერ-კავკასიის დელეგაციას სეიმის მიერ არ ჰქონია დავალებული სხვა საკითხებზე ემსჯელა, ამის გამო ჩხენკელმა მოითხოვა მოლაპარაკების შეწყვეტა, რათა ამ.-კავ. დელეგაცია შეჰკითხებოდა სეიმს მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ. ოსმალთა დელეგაცია ამაზე დასთანხმდა.

უკანასკნელი სხდომის შ[...] ლაპარაკებიდან გამოირკვა [...] კავკასიის დელეგაცია [...] ოსმალეთის დელეგაცი[...] გადაეცა [...] სუხს ოტომანის მთავრობი[...]

გამოირკვა ისიც, რომ [...] კებას განაგრძობდა მისაღე[...] მნის მთავრობაც აუცილებ[...] როებად სთვლის მოლაპარაკ[...] წყვეტას და რომ ოტომანის დ[...] ცია ამ შემთხვევაში ისეთსავე [...] მარეობაშია, როგორც ამიერ-კა[...] დელეგაცია.

ამის გამო ტრაპიზონის საზავ[ო] ლაპარაკება ოთხი დღით შეს[...] ამიერ-კავკასიის დელეგაციის წარ[მო]მადგენელნი ჩამოვიდნენ ტფილის[ში] სეიმში მოსალაპარაკებლად და ოსმა[...] ლეთის დელეგაციის წარმომადგენელ[...] ნიც გაემგზავრნენ სტამბულს სათანადო ინსტრუქციების მისაღებად.

# ქართული პრესა

ლეჩხუმის ამბები და ქუთაისის მენშევიკების მარცხი არ ასვენებს გაზ. „ერთობას“ და განაგრძობს ჩვენს თანამშრომელთან, ამხ. მებრძოლთან კამათს. გაზეთი სწერს.

„ფედერალისტები და მათი კალმოსანი „მებრძოლი“ რევოლიუციონურ ორგანიზაციებზე მაღლა აყენებენ ქუთათურ დონ-კიხოტებს—გობეჩიას, ჰუბაბრიას, ხუნდაძეს და ორახელაშვილს...“

რომელ რევოლიუციონურ ორგანიზაციებზე ლაპარაკობს „ერთობა“? ვინ არიან ამ ორგანიზაციებში? განა გარეშე სოც.-ფედერალისტებისა, ესერებისა და ბოლშევიკებისა კიდევ სხვა რევოლიუციონური ორგანიზაცია არის? რომელია, სთქვას „ერთობამ“.

შემდეგ. რად გონიათ „ერთობელებს“, რომ ჩვენ უქველად მათ წინააღმდეგ გავილაშქრეთ? განა არ შეიძლებოდა კომისიას გაემართლებინა მენშევიკთა მოქმედება? მაგრამ—აშკარა—გასამართლებელი ცოტა და ქონდა მენშევიკებს თავის ნაქებ კომისარით და კომისიასაც გაექცნენ. რამდენიც უნდა იძახონ „ერთობელებმა“ ეს რევოლიუციონურ ორგანიზაციებიდან გაქცევაა, ვინაიდან მენშევიკთა გარდა არავინ დარჩა კომისარის მხარეს.

# ომი

### გერმანელები ინგლისის ფრონტზე.

**ბერლინი.** 23 მარტი (ახ. სტ.) გერმანელ-ავსტრიელთა ცნობა. კაიზერის მეთაურობით ჩვენმა ჯარმა შეუტია ინგლისის ფრონტზე არრასთან და[...] კამბრე-კვენტინთან. შეტევა ორი დ[...] გაგრძელდა. გუშინ ჩვენთვის ნაყო[...] ერი იყო ბრძოლა. ჩვენ გავარღ[...] მტრის თხრილების ორი ხაზი. [...] სიმაღლეები გუზეკურტის, ჰე[...] ტის და ვილერსის დასავლეთ[...] ყოფუ გამოდგა ინგლისელ[...] კონტრ-იერიშების მიტანი[...] ვად იმისა, რომ დიდძა[...] შველიეს, მათ ვერ შ[...] რის შეჩერება, რომ[...] და. მედგრად იბ[...] ჯარსა და იარ[...] ტილერიო ბრ[...] და ლა-ბასს[...] ორივე მხარე[...] რენში.

**ბერლინი.** 2[...] საღამოს ცნობა. [...] ველი პერიოდი ფ[...] ლდა. ჩვენ გავიმარ[...] მონხე-კამბრესთან [...] ლაფერელთან. ინგლის[...] უმეტესი ნაწილი დამარ[...] ლი და განადგურებულია.

ჩვენ ვიბრძვით ეხლა შაპომ-პერონეგამის ხაზით.

**პარიზი.** 23 მარტი (ახ. სტ.), ოფიციალური ცნობა. დრო-გამოშვებით ძლიერი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს ლუაზის საზღვრებით, რეიმსის მიდამოებსა და ლორენში, გარაკურტსა და ვოგეზებს შუა.

ზემო ლორენში ფრანგებმა ცეცხლის საშუალებით მოიგერიეს გერმანელთა იერიშები.

**ლონდონი.** 24 მარტი (ახ. სტ.). პარასკევს დილით გერმანელებმა დიდი მედგრობით განაახლეს იერიშები. მთელ ფრონტზე ბრძოლა ჩვენს პოზიციებზე სწარმოებდა ზოგიერთ პუნქტში ჩვენ კონტრ-იერიშებით მოვიგერიეთ მტერი. ჩვენი დანაკარგი საგრძნობია, ხოლო არც ნამეტანი დიდი. თავგანწირვით იბრძოდა ჩვენი ჯარი, რომელიც მტრის ორმოცჯერ გამრავლებულ ჯარს უმკლავდებოდა. შაბათს საღამოს ბრძოლა იმავე ხაზით განა-

ხლდა, რომელიც წინა დღით სწარმოებდა.

საღამოს მტრის ქვეითა ჯარმა და არტილერიამ იერიშები მოიტანეს და ჩვენი დამცველი ხაზი გაარღვიეს. ჩვენი სრული წესიერების დაცვით დავიხიეთ დასავლეთით. ფრონტის ჩრდილო ნაწილში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ მიმდინარეობს.

**ლონდონი.** 27 მარტი (ახ. სტილი). „ტაიმსის“ კორესპონდენტი იტყობინება: „ინგლისის ფრონტზე დაგროვებულია 47 დივიზია, ამათში 4 გვარდიაა. ერთს უბანში 17 დივიზიაა ინგლისის 5 დივიზიის წინააღმდეგ. საერთოდ, 50 მილიან ფრონტზე თავმოყრილია ერთი მესამედი მთელი გერმანიის ჯარისა. შეიძლება ითქვას, რომ გერმანელები მართლა თავისთვის ნაყოფიერად აწარმოებენ ბრძოლას, მაგრამ ამას სრულებითაც არ მიჰყავს ისინი სრულ გამარჯვებამდე“.

**გერმანელ-ავსტრიელთა მიმოხილვა.**

მონესთან, კამბრესა და ლაფორესთან ბრძოლა სწარმოებს ინგლისის მე-3 და მე-5 არმია და ნაწილი საფრანგეთის არმიისა. ამერიკის სარეზერვო ნაწილები დამარცხებულია ბოშოვესთან და სომმას მიაღწია. ტრონესა და შაპიმის შუა და აგრეთვე შონთან დიდ ძალი ჯარისა და იარაღის დაკარგვის შემდეგ მათ დაიხიეს.

**რადიო ბიულეტენი.**

**კონსტანტინოპოლი.** 28 მარტი. ოფიციალური ცნობა. პალესტინის ფრონტით გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. მტრის ორი რაზმი, რომელიც წინ მოიწევდა კუფრით და რაზმი, რომელიც იერიშით უნდა წასულიყო კუფრის მიმართულებით ჩვენი არტილერიის ცეცხლის საშუალებით უკუვაქციეთ, ასევე უნაყოფო გამოდგა მტრის შემოტევა, რომელიც კუფრაანის მიმართულებით მოიწევდა.

**ბერლინი.** 25 მარტი. ავსტ.-გერმ. ოფიციალური ცნობა. კრონ-პრინცი რუპრეხტი ბავარიელი გენ. ბიულოვის და მარვიცას ჯარით გარდამწყვეტ ბრძოლაში ბოპოსთან კვლავ დაამარცხეს და გაანადგურეს მოერი, იმდროს, როდესაც გენ. ფონ-ბორნის, ფონ-ლიხევისტის და კ. უთხეს ჯარმა გაარღვია მტრის ძლიერი პოზიციები ბოპოსთან. ამავე დროს გენ. გრიუნერტის და შტაიბსის ჯარმა გააქცია მტერი არასისა და სეილის გადაღმა. ცხარე ბრძოლაში დაამარცხეს ახალი მოშველებული დივიზიები.

მრავალი ჯავშნიანი მატარებელი დახვდა ჩვენ ჯარს ბოპომისა და კამბრეს გზაზე. მაგრამ მათ ვერ შესძლეს რაიმე ცვლილების შეტანა ბრძოლის მიმდინარეობაში მტრის სასარგებლოდ საღამოთი მათ დასავლეთით დაიხიეს. ღამის ბრძოლაში ბოპომთან, ის გამარჯვებულის ხელში გადავიდა. ცხარე ბრძოლა გაიმართა კამბრეს მახლობლად და სიმაღლეების დასავლეთით. ინგლისელ კავალერისტთა იერიშები უნაყოფოდ ჩატარდა ბრძოლის ველზე სომასთან. ინგლისელებმა აქ იერიშები მიიტანეს ქვეითა ჯარით და კავალერიით. მათ დიდი ზიანი მიაყენეს. ისინი დაამარცხეს. საღამოს იერიშით აიღეს კესპლე. სომასა და უაზს შუა 26 მარტს ჯარმა აიღო კარგად გამაგრებული ადგილები.

გაცხარებულ ბრძოლაში ინგლისელებმა, ფრანგებმა და ამერიკელებმა დაიხიეს ლახედვილეს გადმოღმა. გუშინ ფრანგების ქვეითა ჯარი და კავალერია სასტიკად დაამარცხეს. ღამით აიღეს გუისკარტი და შომი. ჩვენი მძიმე არტილერიით ვესროდით პარიზის სიმაგრეს. დიდძალი დავლა ჩაგვივარდა ხელთ 21 მარტს. 45 ათასზე მეტი ტყვე ჩაგვივარდა ხელთ, 600 ზარბაზანი და 160 ტყვიისმფრქვეველი, ამუნიციის და სურსათის საწყობები.

**ბერლინი.** 25 მარტი. ცხარე ბრძოლაა პარმოსა და პერონეს შუა, ანკრასა და სომას შუა ჩვენ გავაქციეთ მტერი მის ძველ პოზიციებზე, რომელიც მას 1916 წლის სომის ბრძოლის დასაწყისში ეკავა.

**ლონდონი.** 23 მარტი. ცხარე ბრძოლა გრძელდება. მტერმა გაარღვია ჩვენი ხაზი. ჩვენი ჯარი წესიერად იხევს დარბეული ადგილებით თავის ახალ პოზიციებზე, რომელიც წინდაწინ იყო განიზადებული. ბრძოლის ჩრდილო ნაწილში ჩვენმა ჯარმა თავისი პოზიციები შეინარჩუნა.

## პეტროგრადის ამბები

(საკუთარი კორესპონდენტისგან).

პეტროგრადიდან 2 მარტის თარიღით ჩვენი კორესპონდენტი შემდეგ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის:

—

2 მარტს გერმანელები 153 ვერსის მანძილზე იყვნენ პეტროგრადიდან. გერმანელები ნარვის წინ წამოიწიენ, მაგრამ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ სახალხო კომისარების საბჭოს მოთხოვნით, უკან დაიხიეს.

—

ამ დროისთვის ფინლანდიაში გერმანელებმა დიდ ძალი დესანტი გადმოსხეს ფინლანდიის სანაპიროებზე.

—

გერმანელებმა ორჯერ ყუმბარები დაუშინეს პეტროგრადს ჰაეროპლანებიდან, რამაც აიძულა პეტროგრადის მცხოვრებლები სინათლე მთლად ჩაექრით.

—

წყალსადენი, ელექტრონი და ტრამვაი წესიერად მუშაობს. სათბობი მასალა საკმაოდ არის ამ დაწესებულებათათვის. ყველა ფაბრიკა-ქარხანა (ობუხოვის, პუტილოვის, ნობელის, ერიქსონის, ლანგენზიპენის და სხვა) დახურულია, მუშები წითელ არმიაში ჩაეწერნენ.

—

სახელმწიფო დაწესებულებებში თებერვლის შუა რიცხვებიდან მოსამსახურეები დაბრუნდნენ. ხოლო შტატების შემცირების გამო ზოგიერთი მათგანი არ მიიღეს.

—

ამის გამო ხშირად შეხვდებით ინტელიგენტებს: ოფიცრებს, ინჟინრებს და სხვებს, რომელნიც გაზეთებს ჰყიდიან, ყინვას ამტვრევენ და სხვ.

—

მთავრობა მოსკოვში გადავიდა, ხოლო პეტროგრადში შესდგა კომუნალური მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას ტროცკი და ორი მისი ამხანაგი.

—

მამაკაცებს პეტროგრადიდან არ უშვებენ, იქიდან წამოსვლის უფლება მხოლოდ დედა-კაცებსა და ბავშვებს აქვთ.

—

მატარებლები განსაკუთრებით „ტეპლუშკებიდან“ შესდგება ჩვეულებრივი, კლასის ვაგონები მხოლოდ ერთიორი თუ აღმოჩნდება მთელ მატარებელში.

—

ცხოვრება პეტროგრადში ძველი კალაპოტით მიმდინარეობს ყველა თეატრი და გასართობი ადგილი ხალხითაა სავსე.

—

პურს მხოლოდ 1/8 გირვანქას აძლევენ სულზე. მაგრამ ქალაქში კერძო სპეკულიანტებთან შეიძლება პურის ყიდვა. გირვანქა ღირს 4—5 მანეთი. კარაქი გირვანქა 10 მ., ხბოს ხორცი 5 მ., ხოლო ძროხის 3 მ., გირვანქა.

—

სპეკულიაცია ძველ დაწესებულებებში არ ხდება. ის ქუჩებში გამოიტანეს. ნევის პროსპექტზე ბირჟა გამართული, განსაკუთრებით ნევის პროსპექტის ის ნაწილია სავსე სანოვაგით, რომელიც სადოვის და მიხეილის ქუჩებს შუა არის.

—

რაც შეეხება ძარცვა-გლეჯას, მან უკვე ფართო ხასიათი მიიღო: დღისითაც არ ერიდებიან ტანისამოსის გ ხდას. ქუჩებში, მიუხედავად დიდი ყინვებისა საგრძნობლად შემცირდა საზამთრო პალტოებში ჩაცმულთა რიცხვი.

—

ფართლეულობა ზომიერ ფასებში იყიდება. მაგ., შტიგლიცის დაგანალის შალვარი 15 თუმანი ღირს.

—

უმაღლესი სასწავლებლები დახურულია. ამის ოფიციალურ მიზეზად სურსათის ნაკლებობას აცხადებენ.

## ახალი ამბები

◆ **გუშინ,** ნაშუადღევის 2 საათზე ტფილისში ჩამოვიდა და სასახლეში მოვიდა სოფ. კუმისის 40 მცხოვრები, ბორჩალოს თათრები დასცემიან ს. კუმისს და მთლად აუწიოკებიათ მცხოვრებლები. კუმისელები მთავრობას სთხოვდნენ იარაღს, მთავრობამ ისინი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

◆ **ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციის რწმუნებულნი ტფილისში.** 12 მარტს სასახლეში შეერთებული სხდომა იყო მთავრობის, სეიმის, პრეზიდიუმის და ფრაქციების წარმომადგენლებისა. ტრაპიზონის სამშვიდობო დელეგაციის მუშაობისა და ოსმალეთის მოთხოვნილებების შესახებ დაწვრილებითი მოხსენება წარადგინეს ამხ. გიორგი ლასხიშვილმა, ჰაიდაროვმა და კაჩაზნუნმა. თათბირმა ერთხმად გადაწყვიტა განსაკუთრებულის რწმუნებით აღჭურვოს ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ თათბირმა მოიწონა სეიმის წინანდელი დადგენილება, რითაც პრინციპიალურად აღიარებულია საჭიროება ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა, ხოლო ფორმალურად ეს საქმე განხორციელებულ იქმნება საზავო მოლაპარაკების დასრულებისას, როდესაც დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდება. დელეგატები დღეს გაემგზავრებიან ტრაპიზონს.

◆ **ავტომობილის მსხვერპლი.** 12 მარტს დღის 12 საათზე ოლღის ქუჩაზე ავტომობილმა გასრისა ალექსანდრე სოლომონის ძე გაბაშვილი.

◆ **ეროვნულ საბჭოს კრება.** ხუთშაბათს 15 მარტს საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში საღამოს 7 ს. დანიშნულია ეროვნულ საბჭოს კრება.

◆ **სოხუმის ოლქის გლეხთა ყრილობა** გაიხსნა ქ. სოხუმში 4 მარტს. დაესწრო 300-მდე დელეგატი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ქალაქის თავი ბენია ჩხიკვაშვილი. უმთავრესი საკითხები იყო: მომენტის, მართვა-გამგეობისა, ეროვნული და აგრარული. აღიარეს აფხაზეთი იყოს შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი, ხოლო სეიმი სცნეს უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებად და აღუთქვეს ყოველგვარი დახმარება. ყრილობას დაესწრნენ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლნი ქრ. რაჭველიშვილი და დ. სულიაშვილი. ზუგდიდიდან მ. ბერულავა, ე. ჭოლოვა და ე. კალანდარიშვილი.

◆ **ქართული წარმოდგენა.** კვირას 18 მარტს ახალ კლუბში დილით ელო ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ვალ. გუნიას ცნობილი ისტორიული დრამა „და-ძმა“ ბილეთები იყიდება ამთავითვე კლუბის კასაში.

◆ **ქალთა უმაღლეს კურსებზე.** დღეს, 14 მარტს „კრუჟოკის“ ბინაზე მოხდება ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელთა საზოგადო კრება. განსახილველია: 1) მიმდინარე მომენტი და სტუდენტობა, 2) უხუცესთა საბჭოს წესების პროექტი. 3) კრების გამო საღამოს არ იქნება ლექციები და პრაქტიკული მეცადინობა.

◆ **უბედურება სოხუმში.** 7 მარტს საციხოვნე ზარბაზნებიდან ისროდნენ სასიგნალოდ. გამოუცდელობის თუ სხვა მიზეზის გამო ყუმბარა უკან გამოვარდა და საშინელის სიძლიერით იფეთქა. ყუმბარამ ცხრა კაცი იმსხვერპლა: ხუთი მოჰკლა, ოთხი მძიმედ დაჰშავა. თითქმის ყველანი ინტელიგენტი სტუდენტები იყვნენ.

◆ **თავი მოიკლა** ჩვენმა პარტიულმა ამხანაგმა რკ. გზის მოსამსახურემ გედევან (გენო) ელიოზაშვილმა.

◆ **ქურდობა.** ტერ-გუკასოვის ქუჩაზე მცხოვრებ ტალმაჩოვის ქალს მოსამსახურე ქალმა მოპარა ფული და ძვირფასი ნივთები, სულ 3 ათასი მანეთად ღირებული ქურდი ქალი შეიპყრეს.

◆ **ბოლშევიკი ბუდუ მდივანი,** რომელიც აბაშაში შეიპყრეს, ეხლა ტფილისში ჩამოიყვანეს! მდივანი 3 თვითაა დაპატიმრებული.

◆ **მკვლელობა.** 9 მარტს დღის 3 ნახ. საათზე წითელ-რაზმელებმა „სამოვოლნაია“ ქუჩაზე გაიგეს თოფის სროლის ხმა, გაიგეს, რომ ისროდნენ მთვრალი ჯარის-კაცები. 8 ჯარის-კაცს ქონდათ ბერდანკები, წითელრაზმელებმა წინადადება მისცეს იარაღი დაეწყობიათ, ყველა დამორჩილდა ერთი ჯარის-კაცის სიჩოვის გარდა. სიჩოვს წითელ გვარდიელებმა ესროლა სიჩოვმა უპასუხა ამაზე და ბოლოს მოკლულ იქმნა სიჩოვი. ცხედარი მიხეილის საავადმყოფოშია.

◆ **მილიციის დადგენილება შოფერების საყურადღებოდ.** ავტომობილებით და გრუზოვიკებით ჩქარ სიარულს მრავალი ზარალი მიაქვს ქალაქისათვის. წამდაუწუმ უბედურ შემთხვევებს აქვს ადგილი, ამახინჯებენ ან უხეც ფეხით სტოვებენ ხალხს. ამ საგნის შესახებ არის სავალდებულო დადგენილება: შოფერებმა უნდა დაიმახსოვრონ მხოლოდ საქმის მცოდნე კაცი და საათში ავტომობილი უნდა აქროლდეს 13—14 ვერს. ი. წიწივაძეს დავალებული აქვს შოფერების უფროსთან მოილაპარაკოს ამ დადგენილების შესახებ. დადგენილი სავალდებულოა 1917 წლიდან. მილიციამ ეხლა თვალყური ადევნოს ავტომობილებს, გრუზოვიკებს „ციკლონეტებს“ და „მოტოციკლეტებს“. დამნაშავენი მგზავრებთან ერთად დაიკავონ და მილიციაში წარადგინონ.

◆ **ახალციხიდან** 12 მარტს იუწყება ქნ. არჯევანიძე. ახალციხეში მოვიდნენ წითელ-რაზმელები. მდგომარეობა ვითომ გაუმჯობესებულია. მივდივარ აბასთუმანში. ყველა შეპყრობილი მაჰმადიანი განთავისუფლებულია.

◆ **ბრძოლა ანარქიასთან.** ტფილისის დამცველ შტაბმა შეიპყრო: შტ.-კაპიტანი ტამბოვცევი, დინამიტის შენახვისათვის. მაჰმადიანთა ცხენოსან რაზმის ჯარის კაცი თარლან ათალევი ოფიცერის მოკვლის გამო გასამართლებამდის. მე-2 თურქესტანის რაზმის ოფიცერი დამანსკი. მოხელე ილ. ტრიფონოვი და ჯარის კაცი კ. მეხოვი ურწესოების გამო, ხუთი დღით. სომეხთა ერ. საბჭოს ექიმი ჩარუხჩიანი ქუჩაში სროლისათვის 3 თვით. სომეხთა ცხენოსანთა რაზმის ჯარის კაცი ოგანეს კარაპეტიანცი, სადგურ ტფილისში თავის ნებით მგზავრების ბარგის გაჩხრეკისათვის.

◆ **ფულის კრიზისი რკინის გზაზე.** ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსმა გამოგზავნა დეპეშა, რომელშიაც ამბობს, რომ ფულის კრიზისია რის გამო მოსამსახურეებს აძლევენ მხოლოდ ჯამაგირის მესამედ ნაწილს. მოსალოდნელმა შიმშილმა გვაიძულა შევწყვიტოთ ყოველგვარი ფულის გადახდა ერთი კვირით და ვიყიდოთ ფქვილი. ჯამაგირების გადახდას შევუდგებით მხოლოდ 16 მარტიდან, რაზედაც ვაუწყებთ რკინის გზის ყველა მოსამსახურეს.

◆ **ახალციხიდან** ამ რაიონის ჯარის უფროსი მაღლაკელიძე 12 მარტს იტყობინება: განუწყვეტლივ შეტაკებები გვაქვს მაჰმადიანებთან, რომელთაც იერიშები მოაქვთ ახალციხესა და მის ახლო მდებარე სოფლებზე. გთხოვთ მომაშველოთ დიდი ძალები. ახალციხე იოგვლივ გარშემორტყულია.

◆ **სადახლოდან** ჯუღელი 12 მარტს იტყობინება, რომ ყაჩაღთა ბრბოები მ.6 შეიპყრო, ჩამოართვა 25 ტყვიისმფრქვეველი და დანარჩენი იარაღის დაბრუნებას დაჰპირდნენ მცხოვრებლები.

◆ **მიმოსვლის კომისარი** ლიბინი 12 მარტს იუწყება, რომ ცალკე მატარებელის დანიშვნა შეიძლება მხოლოდ კომისარიატის ნებართვით და ზედმეტი მატარებლების დანიშვნის თხოვნა ვერ იქნება დაკმაყოფილებული.

◆ **რკ. გზის მილიციის** უფროსის თანაშემწედ დაინიშნა ბერძნიშვილი.

◆ **არტაანიდან** 11 მარტს ლტოლვილების თავმჯდომარე კიიტაჩკიანი იუწყება: „ჩვენ სომხები ბათომის ოლქის, არტაანის ნაწილისა ვშიშობთ, რომ არ გამეორდეს ხოცვა-ჟლეტა, რომელიც იყო 1914 წელს. ამისათვის გადავწყვიტეთ მივატოვოთ სიმშობლო მხარე, გადავიდეთ ახალქალაქში. არტაანში ჩვენ დაგვიჭირეს 11 დღით, ხმებია, რომ ჩვენ დაგვიჭირეს, როგორც მძევალნი. ჩვენ თხოვნით მივმართეთ მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოს, რომ მან მოგვცეს ნებართვა არტაანიდან წასვლისა, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ. გვაწუხებს სიმშილი, სიცივე, ავადმყოფობა ეპიდემიურ ხასიათს იღებს. გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში დავიღუპებით.

## სოფლად და ქალაქად

### ქუთაისი.

◆ **ტექნიკური საზოგადოება** ქუთაისში დაარსდა ქართულ ტექნიკურ საზოგადოების განყოფილება; წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ინჟინერს და ტექნიკოსს განურჩევლად ეროვნებისა, შემდეგ პირებთან: წყალ-გაღმა უბანში პოდგორნი ქუჩა სახლი ჩილინგაროვის ინჟინერ ალ. ლორთქიფანიძესთან და საგურზე ტექნიკოს ლევ. მიქელაძესთან.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

დღეს 14 მარტს საღამოს 7 საათზე დანიშნულია ტფილისის კომიტეტის კრება (პარტ. კლუბის შენობაში) ფრიად სასწრაფო საკითხების განსახილველად. ამხანაგებს ვთხოვთ კრებას აუცილებლად დაესწრონ.

## რუსთა ეროვნული ყრილობა

კვირას, თერთმეტ მარტს გაიხსნა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული ყრილობა. გამოცხადდა სამოცამდე წარმომადგენელი, ამიერკავკასიის სხვა და სხვა ადგილიდან. არიან სექტანტები, რომელთაც დარბაზის მარცხენა ფრთა უჭირავთ. დანარჩენნი კი უმთავრესად ჩინოვნიკობაა.

კრება იხსნება დღის პირველ საათზე სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში. თავმჯდომარეობს ლებედევი. დღის წესრიგი:

1. ანგარიში დროებით ბიუროს მოქმედებისა.
2. კრების მომწვევ კომისიის მოხსენება.
3. მიმდინარე მომენტი,
4. ნაციონალური საკითხი.
5. ყრილობის საორგანიზაციო საკითხები.
6. აგრარული საკითხი, სკოლა, ერობა და სხვ.
7. ნაციონალური საბჭო.

**ლებედევი.** მოქალაქენო! როდესაც მთელ რუსეთის რევოლუციას და ამიერკავკასიის დემოკრატიას დროებით უბედურება დაატყდა თავს ბევრმა სულმოკლემ ზურგი უჩვენა რევოლუციას და გამოეყო რევოლუციონურ ლაშქარს. პირველად ჩვენ ყველას გვეგონა რუსეთის რევოლუცია უსისხლოა, მაგრამ დღემდე არც ერთ რევოლუციას იმდენი მსხვერპლი არ შეუწირავს, რამდენიც რუსეთის რევოლუციას.

მოქალაქენო, დღეს ჩვენი (ამიერკავკ. რუსთ) მდგომარეობა უნუგეშოა, მაგრამ ჩვენ გამოსავალიც გვაქვს, თუ წარმოვიდგენთ ჩვენ თავს როგორც ნაწილს ამიერკავკასიის რევოლუციონურ დემოკრატიისას, იმ დემოკრატიისას, რომელსაც დღემდე მაღლა უჭირავს წითელი რევოლ. დროშა.

მოქალაქენო, გახსოვდეთ, რომ ამიერკავკასიის ხალხების დემოკრატიაში ჩვენ მტერი არა გვყავს, მაშ გაუმარჯოს გაერთიანებულ დემოკრატიას, გაერთიანებულ მუშაობას (ტაში).

ასახელებენ პრეზიდიუმის წევრებს. ს.-დ. ელჩანინოვი, ს.-რ. ობუხოვი ს. ს. მედვედევი, კ. დ. ვესელოვზოროვი, რკინის გზ. ზელენცოვი, სექტანტ. ლისკუტოვი, შეერთებ. კომისიის: ბაიკოვი, ლუტოხინი.

ამის შემდეგ იწყება მილოცვები.

**მამიკონიანი** (სომეხთა ნაც. საბჭ. წარმ.) დღევანდელ უბედურების დროს ყველა რუსეთის ხალხების ხსნა ძმობა თანხმობაშია. მდგომარეობა მთელი რუსეთისა კრიტიკულია, უმწეოა აგრეთვე სომხის ხალხის მდგომარეობა, როგორც განუყოფელი ნაწილის დიდი რუსეთისა.

მაგრამ მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა არ დაიღუპება ის ხალხი, რომელმაც პუშკინი, დოსტოევსკი შვა, მასთანვე არ დაიღუპება სომხის ერიც, მხოლოდ საჭიროა ერთი ფრონტი დემოკრატიისა, შეგნება საერთო ინტერესებისა. (ტაში).

**გვარჯალაძე** (ქართ. ნაც. საბჭ. წარმ.) მიუხედავად ამიერკავკასიის აპრილისა დღემდე აქ ყველა ხალხები მწყობრად და სოლიდარულად მუშაობენ.

თქვენ იცით, რომ ამიერკავკასია თავიდანვე იყო არა თუ ბუდე რევოლუციისა, არამედ ეს ის მხარეა, რომელმაც მისცა რუსეთის დემოკრატიას საუკეთესო რევოლუციონური მოღვაწეები. ისეთი მოღვაწენი, რომელთაც ერთნაირად თაყვანს სცემს როგორც კავკასიის, აგრეთვე რუსეთის დემოკრატია. ჩვენი მიზანია შეთანხმება დემოკრატიისა, ყველა ამიერკავკასიის ერებისა.

თუ ჩვენ ხანდახან იძულებული ვართ განცალკევებული ვაწარმოვოთ ბრძოლა-მუშაობა საბოლოო მიზანი დემოკრატიისა მაინც გაერთიანება-სოლიდარული მუშაობაა.

**ხიტ. აბრამოვი** (ასირ. ნაც. საბჭ.) მოქალაქენო თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ დიდებული წარსულის მქონე ერი, დღეს რიცხვით დიდად შემცირებული ვართ, მაგრამ ჩვენ გვწამს ჩვენი აღდგენა, ჩვენი განთავისუფლება. ჩვენ თავიდანვე გვწამდა, რომ ეს ბრწყინვალე დღე თავისუფლებისა ჩვენ რუსის ხალხისაგან მოგვევლინებოდა.

მაგრამ საუბედუროთ დღეს თქვენ ხედავთ, რომ ნახევარი რუსეთი თითქმის მტრისგან არის დაპყრობილი. ჩვენ გვწამს, რომ საბოლოოთ რუსის ხალხი შეიგნებს თავის მდგომარეობას, შეიგნებს თავის საზღვრების დაცვის საჭიროებას, რადგან სამშობლოს დაცვა [illegible] და რევოლუციის დაცვა.

მოქალაქენო [illegible] სათვის მზე აღმოსავლეთით ამოდის, მაგრამ, ჩვენი, ასირიელების მზე უსათუოდ ჩრდილოეთით უნდა ამოვიდეს. (ტაში).

**ბაგლოევი** (ამიერკავკ. ოსების წ.) ჩვენ დიდი მადლობელი ვართ რუს. ხალხისა, რადგან იგი იყო, აღმზრდელი, განათლების მომფენი როგორც ყველა პატარა ხალხებში, აგრეთვე ოსებშიც. თუ რუსის დემოკრატიამ დროებით შეცდომა ჩაიდინა, იგი შედეგია, ბრალია არა დემოკრატიისა, არამედ ძველი მთავრობის ხანგრძლივი „მოღვაწეობისა“.

გაუმარჯოს რუსეთის ყველა ხალხ. დემოკრატ. (ტაში).

**კარჩიგინი** (ბაქ. რუს. კულტ. დემოკრ. საზ.). მე გამომგზავნა აქ შეერთებ. ს. რევ. ს. დემოკრ. მკნშ. რაა ჩვენი მიზანი? ჩვენი მიზანია მაღლა ავწიოთ წითელი დროშა თავისუფლებისა. ჩვენ, ამიერკავკ. რუს. მდგომარეობა საშინელია. რუსები გარბიან მუღანიდან ეს კი შედეგია ძველი მთავრობის და ლენინ-ტროცკის მოღვაწეობისა. დღეს ჩვენ, რევოლ. დემოკრატიამ უნდა შევქმნათ ინტერნაციონალური თავდაცვის არმია. (ტაში).

**ლევანდოვსკი** (მთავარ. სასდ. საბ.).

(დარბაზი ფეხზე დგება და ოვაციებს უმართავს).

მე დღეს ჩამოვედი ტრაპიზონიდან თქვენ წარმოდგენილი არა გაქვთ, რა უფსკრულის წინაშე ვდგავართ დღეს ჩვენ. და ამ დროს ჩვენ ვლაპარაკობთ, საქმე კი არა ჩანს (ტაში).

მოქალაქენო, თურქების მდგომარეობა არც ისეთი სანეტაროა, როგორც ბევრს თქვენგანს გონია. სულ 30 ათასი თუ იქნება, მერე როგორი. ჩაუცმელი, მშიერი, მაგრამ მათ აქვთ ერთი საყურადღებო ძალა, ეს ძალა მათი ურყევი დისციპლინაა. ეს ის ძალაა მოქალაქენო, რომელიც ადვილად წაგვლეკავს ჩვენ სულ სამ-ოთხ კვირის განმავლობაში. მოქალაქენო, რაშია კიდევ ჩვენი უბედურება? იმაში, რომ ჩვენში პატივს სცემენ არა ნიჭს, არა საქმიანობას, არამედ იმას, თუ რა პარტიას ეკუთვნის ესა თუ ის პირი. თქვენ ხშირად გაიძახით: „რუსეთის დემოკრატია“ — ხოლო არას დროს არ ამბობთ „რუსის ხალხიო“. (ხურვალე ტაში).

მოქალაქენო ჩვენ ჩამოშორებული ვართ ცხოვრებას, ჩვენ მონაწილეობას არ ვიღებთ ამიერკავკ. ცხოვრების მოწყობაში. მაშ რითი აიხსნება ის, რომ, დღეს, ჩვენ რუსებს წარმომადგენელი არა გვყავს ტრაპიზონის დელეგაციაში? (ტაში).

მოქალაქენო გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას ამ ჩვენ მეორე სამშობლოს მტკიცე დაცვაში. (ტაში).

ლევანდოვსკის განცხადებაზე თავმჯდომარე ლებედევი უპასუხებს, რომ თუ ჩვენ ტრაპიზონის დელეგაციაში წარმომადგენელი არა გვყავს ეს ჩვენი ბრალია. ჩვენ თვით ვსთქვით ამაზე უარიო (ამ განცხადებას ზოგიერთები „დოლის“ ძახილით შეხვდნენ).

შემდეგ ულოცავენ რუსის ოფიცერ. წარმომადგენელი დრაცენკო, საფრანგეთის სახელდრო მისიისა ოხბერგი. პოლკოვნიკი შოდრინსკი სლავიანურ კულტურის გერუცი. ის ამბობს დიდია სლავიანების მისია კაცობრიობის წინაშე. მისი კულტურა განსაკუთრებულია: დასავლეთ ევროპის კულტურა — ეს ჭკუის კულტურაა, აღმოსავლეთის კულტურა შრომის კულტურაა, — ჩვენი კულტურა კი — გულის კულტურაა. საგული ხმო იყო სექტანტების წარმომადგენლის ლისკუტოვის სიტყვა. ის აფრთხილებს კრებას და მიუთითებს, რომ არ შექმნან ისეთი კავშირი როგორც 1905—6 წლებში. სახელდობრ „რუსთა კავშირი“ — ის ამბობს ჩვენ სექტანტები, სოციალისტური ბლოკი მედგრად შევებრძოლებით ყოველივე ასეთ კავშირს.

ულოცავს აგრეთვე სომხის სახალხო პარტიის წარმომადგენელი ამიროვი.

შემდეგ ამისა კრება იხურება.

შემდეგი კრება ორშაბათს.

## ბათომიდან ჩაქვაში.

8 მარტს დილაადრიანად ტფილისელ სოც.-ფედ. რაზმელებმა გამოგვზავნეთ ჩქვთან კაცი; ისინი მავალებდნენ მე ჩაქვაში წავყოლოდი და მეჩვენებინა მათთვის ბათომიდან მომავალი

...ტრატეგიული გზები. მე, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი და ...ტარებლით სადგურ ჩაქვამდი მივედით, აქედან კი ფეხით შევყევით მდ. ...ქვისწყალს და სოფ. გიორგაძეებში უნდა მივსულიყავით, მაგრამ სხვა და სხვა მოსაზრებით მეორე სოფელ ჩვენ ...ამისაკენ გავემართეთ, აქ საკმაოდ ...მოვარკვიეთ ტოპოგრაფიული მდგომარეობა და 7—8 ვერსის მგზავრობის შემდგომ ისევ ჩაქვაში დავბრუნდით. ...აში მოსაუბრე ქართველი მაჰმადიანი ...კობალაძე დაგვხვდა. ჩვენ კითხვა—როგორ უყურებენ აქაური მაჰმადიანები ახლანდელ მდგომარეობას—...ს სთქვა:

— მე აქანეი დავბადებულვარ, პირველი სიტყვა ქართული გამიგონია, ...შემო სულ მთლად ქართველები ...ვევიან, მე ამათ ვერ მოვშორდები ...ც ქირში, ვერც ლხინში. მე თათრული არც კი ვიცი ხეირიანად, ოსმალოს თათრები ჩვენ სულ სხვანაირად ...უყურებენ, ისინი ჩვენ „გურჯებს“ ...ძახიან, მათ ჩვენ ვერ შევეწყობით. ...ენა ჩვენი მამა-პაპა-ბაბუა იყვნენ ...თან კარგად, ჩვენ—ახალი თაობა ...ვეძქრობთ, თათრებთან ძალიან ...ჯად ვიქნებით, ამიტომ არ ვუღალატებთ ქართველ ქრისტიანებს და ...მათ გვერდში ამოვუდგებით ომში. და ამისა აქ ჩვენ ერთი ნიკოლოზ ...ჩამოვაგდეთ ტახტიდან, აი ის იმოდა ჩაის „პატაცია“ იმისი იყო, ახლა ...ია, თათარი რომ მოვიდეს, მაშინ ...ულთანი, ან იმისი ფაშები დაეპატრონებიან—არ გვინდა ჩვენ ისინი—...თავა კ—ძმ თითქმის გაჯავრებით. ...ქვაში ჩვენ დაგვხდნენ ს.-დემ. წითელი რაზმელები. ჩვენ აუხსენით ჩვენი ...ნა და ჩვენი რაზმისათვის ბინა ...ოვეთ. მათ სიამოვნებით დაგვითმეს ...ვეპირთელა შენობა და ყოველ...ახმარებასაც დაგვპირდნენ. ჩაქვის ვეზერთელა, ჩაის პლანტაციით დაფენილი გორები და ბამბუკით შემოსილი დაბლობები—ყოფილი საუფლისწულო მამული „ნაციონალ“ მონათლული, დღეს მისი ...პატრონი ხალხია და არც თუ ...დელზე ნაკლებ დამუშავებულია. ალაგალაგ მშვენიერი ნაძვის, ბამბუკის ტყე ათასნაირი ...ული მცენარეებით სიუცხოვე...ომად, წალკოტად ჰხდის აქაურობას. ამას დაუმატეთ შიგ შუა მაისი მოჩხრიალე მშვენიერი ჩაქვის ...ი და თქვენს თვალს წარმოუდგება ...ლი სიმშვენიერე ედემისა. ამის საყოველთაოდ შევნიშნა ჩვენმა ...ემა ოფიცერმა.

„აი, აქ რომ მოვკვდე, აღარ ვინაღვლი—შეუჯოდინებოდა მაინც, სადა ...ი და რისთვის; თორემ“,—განაგრძო ოფიცერმა და მომიყვა სუვალკის ბრძოლის ამბავს,—„სადღაც, გერმანიის საზღვართან მიგვრეკეს, ჩვენც ...ოდით რისთვის ვომობდით. იქ ...ღამე განუწყვეტლივ ვიბრძოდით, სულ ყველანი დარჩეული ...ობა ვიყავით მიწჩენკოს უფროსის ქვეშ. მოსაგონებლად ჯოჯოხეთი რაც იქ მოხდა, მთელი გორი ...სდგა დახოცილების, მათ სამხრე—მარიკადებად ეხმარობდით და ...და კვლავ ახალ გორებს ვა...ით და გადავდიოდით დახოცილ გვამებზე. ახლა რომ ყურიქრობ ჩემ თავს, ვამბობ: ნეტავი რისთვის ვიხოცებოდით ცხრა მთას იქით, ...დაგვეჩა იქ სიკვდილით თუ ...არ, აქ კი, ამ მშვენებით სავსე ...ლოს მიწა-წყალზე სიკვდილს ...ღეში არ ვინანებდი!“—და ცრემლიც ...ავ აენთნენ მისი თვალები.

...თანამგზავრის ნაამბობიდან მოდა ერთი ეპიზოდი სუვალკის ბრძოლისა რომელსაც, მართალია ...ეხია დღე-ღამე ებრძოდა საქართველოს რჩეული შვილები ნახევრად ...დგომარენი და ქართულად ...ალხი—პრინც ბაგრატიონის მართალ. ბოლოს, როგორც გაზეთები ...ვლენ—პრინცმა სისოწარ...ით აღაპყრო ხელები და „მე არა ჩვეულებრივ. შეუპოვართან მქონია საქმე, რომელიც ...ების წვიმების დროსაც—კი ...ლად მოდიან ჩემზედ და უბრალოდ ჯარს უკან დაიხიათ! დღეს ...ა სამშობლოს სიცოცხლისა და ...ისათვის კიდევ მეტი სი...ემართებს და აქ რომ გმირული სული ლაჩრის სულად ...მოქიოთ—სარცხვინელით შეეწინ ქართველი ერის ისტორიისოდ ...ით ყველანი და ბათომ-ჩაქვის ...ებიც ამ გრძნობებით გამსჭვალულნი ...ართ და დანარჩენ საქარ-

თველოს ვაჟკაცობას მოუხმობთ ჩვენებრ ჩადგნენ სამშობლოს დაცვის დიად რაზმებში...

ტრ. ინასარიძე.

# სოფელს მიხედოთ!

დღეს სოფელი კონტრ-რევოლიუციონურ იდეების ფართო პროპაგანდის ასპარეზად გადაიქცა. იგი ვერ წარმოადგენს ფსიხოლოგიურად ისეთ შეკავშირებულ, მთლიან ორგანიზაციას, როგორიც თავისუფლების პირველ დღეებში იყო. სოფელი გულგრილად შეჰყურებს რევოლიუციას, მოსწყინდა მიტინგებზე სიარული და ეს უმთავრესად იმიტომ, რომ აგრარული და საზოგადოდ ეკონომიური საკითხები დღესაც არ არის გადაწყვეტილი. გლეხების უნდობლობით რევოლიუციისადმი ბნელი ძალები სარგებლობენ, ქალაქებში დამარცხებულნი თავისუფლად დასეირნობენ სოფლებში და ათასგვარ პროვოკაციას ავრცელებენ როგორც სამშობლოს დაცვაზე, ისე რევოლიუციაზე. ფრონტიდან გამოქცეულ ჯარისკაცთა პროპაგანდა-აგიტაცია მიმართულია განსაკუთრებით მობილიზაციის წინააღმდეგ. რას არ გაიგონებთ სოფელში: წითელი გვარდია ბურჟუაზიის დაქირავებულია, მილიციონერები ხალხის მტრებია, მემამულეებს უნდათ მობილიზაცია, რომ მშრომელი ხალხი თათრებს ამოაწყვეტინონ, ამით კი მიწების კონფისკაცია შეაჩერონ და სხვა და სხვა...

მოწამლულია ატმოსფერო! ეს კიდევ ისეთ დროს, როდესაც სამშობლო და რევოლიუცია განსაცდელშია!

უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს აგრარული მოძრაობა. ამ მხრივაც ჯარისკაცების ჰეგემონია განუსაზღვრელია: პირველ ხარისხოვან მიწებს თითონ იტაცებენ. ვინ დასძრავს კრინტს, რადგან ყოველ წამს „ვინტოვკა“ ხელში აქვთ მომარჯვებული. სოფლის რევოლიუციონურ გლეხკაცობაზე ასეთი მათი ძალმომრეობა ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს, რის გამო ექსცესები ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ისე ღამე არ გაივლის, თოფების გრიალი არ გაჰქონდეს. საჭიროა ყველა ამას დროზე მიაქციოს ყურადღება იმ გაბატონებულმა პარტიამ, რომელსაც მმართველობის სადავე უჭირავს ხელში, თორემ კონტრ-რევოლიუციონური ეპიდემია ფართოდ მოედება მასსას და შემდეგ გვიან იქნება თითზე კბენა. ხსნა მხოლოდ ერთშია: უნდა ჰქონდეს ხალხს შეგნებული არსებული მდგომარეობა. ამის საუკეთესო იარაღია მიტინგების გამართვა. თვეში ერთხელ მაინც უნდა იმართებოდეს საზოგადო მიტინგი, სადაც მსჯელობა იქნება მომენტზე და სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

გამართლდა ჩვენი მოლოდინი: დამფუძნებელ კრების არჩევნების დაწყებამდე მენშევიკი პროპაგანდისტები არ სცილდებოდნენ სოფელს, ეხლა კი ერთსაც ვერ ნახავთ.

გ. მუშიშვილი

# წერილი ფშავეთიდან

(დასასრული *)

4). გარდა ამისა, დავრწმუნდით რომ ჩვენი სამშობლო განსაცდელშია და ჩვენს დახმარების და სამსახურს თხოულობს; ამიტომ ჩვენ, ფშაველებმა, გადავწყვიტეთ, გარდა იმ ახალგაზდებისა (19—25 წლამდე), რომელნიც მოთხოვნილები არიან, საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ, თავისუფლების და საქართველოს დასაცავად, 26—40 წლამდე ყოველი ფშაველი ჩაეწეროს ქართულ ლაშქარში მოხალისედ, რათა იარაღით ხელში დაიცვას, სისხლით მონაპოვარი თავისუფლება.

5). ჩვენ არავის მტრობა არ გვიძევს გულში, ყველა მეზობელთან გვსურს ვიქონიოთ ძმური განწყობილება. სხვისი არა გვინდარა და არც ჩვენსას დაუთმობთ უბრძოლველად. ფშავეთი კავკასიონის მთების საზღვრებზე გადაჭიმული, საქართველოს საზღვარზე, მოსახლეობენ ქისტები. ვერც ძველი ნიკოლოზის თვითმპყრობელობის დროს მუდარამ და ვერც ეხლა, მთავრობის დროს, ვერავითარმა მუდარამ ვერ გასჭრა. რომ აწინდელ მთავრობას მაინც ჯეროვანი ყურადღება მიექცია და შეიარაღებინა ქისტებთან მოსაზღვრე ქართველი ერი და კერძოთ ფშავეთი და მით ეხსნა ეს საქართველოს კუთხე, თავდასხმისაგან და განსაცდელისაგან... იარაღი არა გვაქვს, სახლში, ცხვარში და საქონელში მყოფთ ფშაველებს, რომ ქისტების თავდასხმა მოვიგეროთ მუდამ წამს, უარალონი თავდასხმის შიშის ზარს განვიცდით, ამიტომ ჩვენ, ფშაველები მოვითხოვთ, რომ ღრ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ასწრაფო ყურადღება მოგვაქციოს და დაუყოვნებლივ შეაიარაღოს სახლში დარჩენილი ფშაველები. ქვეყანამ იცის, რომ ფშაველი მშვიდი ხალხი და იარაღს საყაჩაღოდ და საბოროტოთ არ თხოულობს!.. დასასრულ ჩვენ, ფშაველებმა, შევაგროვეთ ჩვენ შორის ფული (სიას ამასთანავე გაახლებ და გთხოვთ შემომწირველთა სია გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნოთ). ამ ფულიდან, გთხოვთ ნახევარი უბოძოთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს და მეორე ნახევარი გადასცეთ საქართველოს **სოციალისტ - ფედერალისტთა** სარევოლიუციო პარტიის სამხედრო სექციას თავის საქმეების კეთილად გასაძღოლად. გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ერთა კავშირს. გაუმარჯოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს და ერთაშორის კავშირის მოქადაგეთ!.

ხელს აწერს 101 კაცი*)

# თელავის ქალაქის საბჭო

კარგა ხანია, თელავში მომხდარ უწესოების მიზეზით, საბჭოს კრება აღარ მომხდარა ამიტომ 7 მარტის სხდომაზე უფრო საჭირო და საგულისხმიერო შეკითხვებსა ჰქონდა ადგილი.

საბჭოს თავმჯდომარე ლ. ვახვახიშვილმა კრება გახსნა, პირველად მოახსენა და სავ. სასურსათო წევრის გ. დალაქიშვილის ტრაგიკული გარდაცვალება, და წინადადება მისცა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვ. ხსოვნისათვის და თანაგრძნობის დეპეშა გაეგზავნათ, რაიც საბჭომ ერთხმად მიიღო. ოქმის დამტკიცების შემდეგ, სასურს. კომიტეტის თავმჯდ. ლ. გოგნიაშვილი მოახსენებს სურსათის შესახებ, რომელიც 10 დღის საკმაო-და დარჩენილი მისალები ჰქონიათ გორის მაზრიდან ორი ვაგონი ქერი, რომელიც კერძო პირს შეუძენია და ფუთს 40 მან. ნაკლებ არ იძლევა. ამ ქერის ერთ ვაგონს თხოულობ წინანდლის საკრედ. ამხ ბა და დაჰპირებიან კიდეც.

ხმ. დ. ქადაგიძე ეკითხება, რა მიზეზია რომ კერძო პირები სპეკულაციის მიზნით იძენენ სურსათს ქ რთლში და ამავე დროს კი სასურსათო კომიტეტს იქაური ასეთივე კომიტეტი უარს ეუბნება და მოითხოვს შეკითხვის გაგზავნას. ამაზე უპასუხებენ, რომ მოწმობები ჩვენ მივეცით, მხოლოდ მუდმივი ჩვენი აგენტი გამოდისო, მაგრამ ეტყობა პასუხი არ აკმაყოფილებთ ხმოსნებს და ამის გარშემო კამათი იმართება.

ხმ. ვ. პაატაშვილი მოახსენებს საბჭოს, რომ იმ საქალაქო დებულებით, რომლის ძალითაც შესდგა ჩვენი დემოკრატიული საბჭო, ქალაქის ხარჯთაღრიცხვა უნდა სდგებოდეს გიორგობისთვეში, მაგრამ აი წლის მესამე თვე მიმდინარეობს და ჯერაც არ მოუხ ენებიათ, ამ დროს კი აქ წესდება სხვა და სხვა ორგანო როგორც საქალაქო ცალკე სასურსათო კომისია, სადაც ჰქნიან ახალ ახალ სასყიდლიან შტატებს და საბჭომ-კი არაფერი იცის. ბოლოს ეკითხება გამგეობას აპირებს იგი თუ არა ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას.

ქალაქის თავი კ. ანდრონიკაშვილი უპასუხებს—ხარჯთ-აღრიცხვის დაგვიანების მიზეზებს და სხვათა შორის თვით შეკითხვებსაც ასახელებს, რომელიც შედის ახლად შემოერთებულ კურდღელაურის ნაწილის დამფასებელ კომისიაში; ამ კომისიას აქამდე არ დაუსრულებია მუშაობა რომ შესაძლებელი იყოს შემოსავლის ჯამის აღნიშვნა.

ამ საგანზედაც გრძელდება ბაასი, ხოლო გამგ. წევრი გ. ტერ-არუთინოვი უჩივის სხვა და სხვა ძომისიებს და მათ შორის საფინანსოსაც, რომლებიც სრულებით არა მუშაობენ და რომლის წყალობით ბრკოლდება ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.

ხმ. ექიმი ილ. თუმანიშვილი სთხოვს საბჭოს ყურადღებით კოპერატივს მის სიტყვებს და ვრცელ მოხსენებას აკეთებს ყვავილის და სახადის გავრცელების შესახებ, როგორც მაზრაში ისე თელავშიაც დიდი შიშია, მით უმეტეს ჩვენ არავითარი მომზადება არა გვაქვს. ყვავილი ყველგანა ყოფილა მოდებული, ხოლო სახადი, რომელიც ჯარისკაცთ შემოაქვთ ადგილი ჰქონია სოფ. კისისხევში, კურდღელაურში, ყარაჯალაში და ერთი ავადმყოფი—თელავში. ყვავილის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო ყოფილა ასაცრელი ჩირქი, რომელიც არსად არ იშოვება და ექ. თუმანიშვილი წინადადებას აძლევს აქვე მოეწყოს ჩირქის მომზადება, რომელიც ძალიან ძვირად არ დაჯდება, ხოლო სახადისთვის საჭიროა უმთავრესად ავადმყოფების განცალკევება, და მოითხოვს ცხლევე ბარაკის მომზადებას. საბჭომ დაადასტურა ნაჩვენები ზომები და გადასდო 3.000 მან. საჭირო ხარჯების გასასტუმრებლად.

ქალ. თავი კ. ანდრონიკაშვილი დაწვრილებით მოხსენებას აკეთებს თელავში ჯარის კაცთა მეოხებით მომხდარ ამბების შესახებ, წითელი რაზმის მოსვლის და წესიერების აღდგენაზე. ამის შესახებ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რისთვისაც აღარ ვიმეორებთ.

საბჭომ ამ მოხსენების მოსმენის შემდეგ ერთხმად დაადგინა: დეპეშით მადლობა გამოუცხადოს წითელ გვარდიელებს თელავში წესიერების დამყარების და გულწრფელი მწუხარება იმ მსხვერპლის გამო, რომელიც მათ მოუვიდათ ამხანაგის მოკვლით.

შემდეგ ქალაქის თავი მოახსენებს ამ ბოლო დროს რუსეთში დაწყებულ ანარქიის გამო, ამიერ-კავკასიასთან კავშირის შეწყვეტას, მის ჩამოშორებას და დამფუძნებელ წევრთაგან სეიმის შედგენას და მის გახსნის ამბავს.

ხმ. ვ. პაატაშვილი ამბობს, რომ ეხლანდელი სეიმი ვერ იქნება ქართველ ხალხის ნებისყოფის გამომხატველი, ვიდრე არ მოხდება როგორც ქართველთა ისე სომეხ და თათართა ერების დამფუძნებელი კრებები და და შემდეგ არ შესდგება თანასწორ უფლებიანი სეიმი, მაგრამ მას დღევანდელ პირობებში, როგორც დამოუკიდებელ მხარის მმართველ ორგანოს ანგარიში უნდა გაეწიოს, მხოლოდ ჩვენ დემოკრატიულ საბჭოს შეუძლიან იამაყოს, რომ მის ქალაქის თავს კ. ანდრონიკაშვილს წილად ჰხვდა პირველ სეიმის წევრობა და ულოცავს ამ ახალ თანამდებობას. საბჭო ტაშის კვრით ულოცავს სეიმის წევრს კ. ანდრონიკაშვილს და ერთხმად ადგენს, გაეგზავნოს მილოცვის დეპეშა სეიმს.

დღევანდელი კრება ამით თავდება და განსახილველი საკითხები სივვიანის გამო შემდეგისათვის რდება.

და—ლი.

*) სია ხელის მომწერთა რედ ქციაში იქნება, ამასთანავე წარმოდგენილ იქმნა 243 მ. 50 კ., ამაში 121 მ. 75 კ. გადასაცემია საქ. ეროვნულ საბჭოსათვის, ხოლო მეორე ნახევარი საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის სამხედრო რაზმს მიმდინარე ხარჯებისათვის.

რედ.


გამომცემელი

ხამხოს ფიჩიხაძაძე

რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

**საბუღალტრო კურსები**

გ. კ. ტერ-დავიდოვისა

ნიკოლოევის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ექიმი

**პავლე არდაზიანი**

დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ტელ.ნი. 1002

ექიმი

**ზ. გ. ნარიმანოვი**

ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი

**კ. ტყეშელაშვილი**

ლიზბონის ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვ ს პროსპ ქტი № 167. 200

ძ. ძაგძაგში.

ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე

**მაჩაბელი**

მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა, სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი კბილისა

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი

**ვ. მუსხელიშვილი**

იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ...ის ქ. № 6.

ექიმი

**თიკანაძე**

იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

**გ. გ. მეჰრაბიანცი**

შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის—ჰლექის ღ გულისა. ახალს რენტგენელექტრო ხინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა ხხივებით, დიდი სოლლნოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაკსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

(დაარსებულია 1880 წელს).

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ყოველ დღე (გარდა კვირისა

დილით:

11—12 ს. „606“ და „914“

ავეტეხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.

ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (იფილ... ავადმყ.)

ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

საღამოთი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ექიმი

**ნ. გ. მრევლიშვილი**

მასწავლებლად-ნამყოფი ქ... ქალაქის საბებო-სამკურნალოს ... ტფილისის კრების ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიოდ საშვილოსნო ავათმყოფთ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 103...

ექიმი

**ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7. 102...

ექიმი

**ს. ზ. მირზოევი**

ყოფილი ორდინატორი ტფილისის ... საავადმყოფოსი, იღებს 1½—3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: ... ქ. № 1. ტელ. 16—6... 100...

ექიმი

**დ. შარაშანიძე**

იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე ... ჰველოვის ქუჩა, № 7. 218...

ექიმი

**მ. წინამძღვრიშვილი**

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხა... მედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ... გულისა, ფილტვისა და ხიახლე... კლინიკებისა, სნეულებიანს სპეციალ... რად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბო-მონდის“ პირდაპირ. 102...

ექიმი

**ნ. ი. მახვილაძე**

შინაგანი სნეულებანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—1... საათ. საღამოს 4—6-მდე მოსკოვის ქ. № 11. 294

ექიმი

**შ. ა. მიქელაძე**

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი

**გ. მ. მუხაძე**

იღებს სალდასტაქირო ავადმყოფებს ... ღამის 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ... 1030

**„სახალხო საქმი“-ს რედაქციის კანტორაში**

**იყიდება შემდეგი წ ნები:**

| | | |
|---|---|---|
| ვახვახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ. | 3 მ. | |
| ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I | 4 „ | |
| გრდემლი წ. I | 3 „ | |
| ქართველი მწერლები. | 2 „ | |
| უცხოეთის „ | 2 „ | |
| შიუკაშვილი—„მეგობრობა“. | — | 60 კ. |
| ჯანაშვილი—„თამარ მეფე“. | 1 „ | 20 „ |
| ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“ | — | 40 „ |
| ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“ | — | 50 „ |

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

**სტამბა სახალხო საქმე**

ტფილისი

ბარონის ქუჩა

№ 14

სტამბა ასრულებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს სუფთად, იაფად და თავის დროზე